745 w 11584

ეროვნული თავისუფლების გზით — პიროვნული თავისუფლებისაკენ
პიროვნული თავისუფლების გზით — ეროვნული თავისუფლებისაკენ

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველო

საქართველოს სახალხო ფრონტი
ყოველკვირეული საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი
გამოდიოდა 1903-1905, 1916-1921 წ.წ. აღდგენილია 1989 წელს.

№ 32 (1367) 7-13 ოქტომბერი, 1993 წ.

## მოსავლის უდანაკარგოდ ასაღებად, ზამთრის მარაგის შესავსებად, და საერთოდ, კაი ცხოვრებისათვის საჭიროა მიტინგები, გაფიცვები, შიმშილობები! ვისაც ჰგონია, რომ ეს ასე არ არის, წაიკითხოს ქვემოთწარმოდგენილი მიმართვა

### მიმართვა

შევარდნაძის კრიმინალური ხუნტის მმართველობამ საქართველოს ეკონომიკა კატასტროფულ მდგომარეობაში ჩააგდო. ქვეყნის მეურნეობა გაჩანაგებულია, სახელმწიფო სოციალურმა სფერომ არსებობა შეწყვიტა, გაჩაღებულია დამანგრეველი პროვოკაციული და მოღალატური ომი აფხაზეთში.

ასეთ ვითარებაში, კანონიერების მოქმედების რეგიონის მთელს მოსახლეობას, მთელს ქართველობას მივმართავ მოწოდებით — ეროვნული ეკონომიკის გადარჩენა, საქართველოს მეურნეობის შევარდნაძის კრიმინალური ხუნტის მძარცველთაგან ხსნა, ერთ-ერთი უპირველესი რიგის ეროვნულ ამოცანად დაისახონ.

საგანგებოდ მივმართავ ჩვენს სოფლის მუშაკებს, გლეხობას — უნდა მოვიწიოთ და ხუნტის ბანდების ყაჩაღური ძარცვისაგან, დაფლანგვა — დანიავე[?]ისაგან გდავარჩინოთ [მ]ოსავალი, არ უნდა დაკარგოს არცერთი მარცვალი — მოსავალი მთელი ქართველი ხალხის საკუთრებაა და არა შევარდნაძის კრიმინა[ლ]ური რეჟიმისა.



ამ მიზნით მთელს [ს]აქართველოში — [ს]ასოფლო რაიონებში, ცალკეულ სოფლებში უნდა შეიქმნას მოსავლის აღებისა და დაცვის, სასოფლო— სამეურნეო პროდუქციის საგანგებო მარაგის შტაბები და კომიტეტები კანონიერი ხელისუფლების ხელმძღვანელობით, კანონიერების მომხრე საზოგადოებრივი და პოლიტიკურორგანიზაციებიმონაწილეობით.

ალნიშნულმა შტაბებმა უნდა მიაღწიონ იმას, რომ მოსავლის აღებისა და დაბინავებისათვის პირველ რიგში და უპირობოდ იქნას გამოყოფილი საწვავი, ტრანსპორტი და ფულადი რესურსი. ამისათვის საქართველოს იმ რაიონებში და რეგიონებში, რომლებიც ჯერ კიდევ შევარდნაძის კრიმინალურ რეჟიმს აქვს ოკუპირებული, საჭიროების შემთხვევაში აღნიშნული მიზნის მისაღწევად უნდა მოეწყოს მიტინგები, შიმშილობები, სხვა მშვიდობიანი აქციები, მოეწყოს პიკეტები მოსავლის დატაცებისაგან დასაცავად და სატრანსპორტო გზების კონტროლისათვის.

კანონიერების მოქმედების რეგიონში მინისტრთა კაბინეტმა და ადგილობრივი მმართველობის ორგანოებმა საჭიროა დასახონ და შეასრულონ კოორდინირებული, კარდინალური და რადიკალური ღონისძიებები მოსავლის — განსაკუთრებით ჩაის, მარცვლეულის, ციტრუსების აღება-გადამუშავებისა და მისი ოპტიმალურ ფასებში ექსპორტისა და გასაღების უზრუნველსაყოფად და სანაცვლოდ სასიცოცხლო საჭიროების პროდუქციისა და ნაღდი ფულის შემოტანისათვის. ამისათვის მაქსიმალურად უნდა იქნას ამოქმე-



დებული და ორგანიზებული, როგორც სახელმწიფო, ასევე კერძო საბაზრო სტრუქტურები.

წინ მძიმე ზამთარი გველის, მოსავლის უდანაკარგოდ მოწევა და მისი ხსნა ხუნტის მტაცებლებისაგან — საქართველოს ხსნაა.

საქართველოს რესპუბლიკის
პრეზიდენტი

**ზვიად გამსახურდია**

25 სექტემბერი, 1993 წელი

რუსეთმა მესამედ მოახდინა საქართველოს ოკუპაცია.
წაგვართვა ძირძველი ქართული კუთხე აფხაზეთი.
საქართველოს საზღვარი გადმოიტანა რუხთან.
რუხის მისადგომებთან აფსუებმა თავისი დროშა აღმართეს.
მოხდა ქართველი ერის გენოციდი.
მეოცე საუკუნის მიწურულს ჩვენს თვალწინ მოხდა შუა საუკუნეებისთვისაც კი არადამახასიათებელი, გაუგონარი ბარბაროსობა.
არნახული წამებით ამოჟლიტეს მშვიდობიანი ქართული მოსახლეობა.
ახლა საჭიროა პარტიზანული ომი.
საჭიროა რევანში მტერთან.

არადა, ასეთ დროს

## ქობალია მოდის „ყვავილების“ სროლით

„იბერია სპექტრის“ 15-21 სექტემბრის ნომერში დასტამბულია ქ-ნ მედეა თუშმალიშვილის ინტერვიუ, რომელიც მას „ამერიკის ხმის“ კორესპონდენტისათვის მიუცია.

ქ-ნი მედეა უცხოეთიდან კვლავ დაუზარებლად გვაწვდის თავის ფიქრს და ხმასა და ჩვენში მიმდინარე ტრაგიკულ მოვლენებთან დაკავშირებით ბრძანებს: „მე აბსოლუტურად დარწმუნებული ვარ და სრული პასუხისმგებლობით გეუბნებით,რომ გამსახურდიას მხრიდან და არც ჩვენი პარლამენტის მხრიდან არანაირი მოწოდება იმისა, რომ იარაღი აიღონ ხელში და ებრძოლონ ხუნტას, არ არის და არც იქნება. ეს უნდა მოხდეს ხალხის ნებით, მიტინგებით, დაუმორჩილებლობით.“

მიმდინარე ბრძოლის „მშვიდობიან ფორმებში“ აბსოლუტურად დარწმუნებულ თუშმალიშვილს, როგორც ჩანს, ქობალიას ჯარისკაცების ხელთ არსებული იარაღი ყვავილები ჰგონია.

მას მიაჩნია, რომ გურიაში შეჭრილი

დასასრული მე-3 გვ.

## რომან გვენცაძე:

# მე ვაცხადებ— საქართველო გაყიდეს

21 სექტემბერს, საგზაო პოლიციის თანამშრომლებისაგან შემდგარ ასკაციან რაზმთან ერთად, რომელსაც თამაზ გოგინაშვილი მეთაურობდა, ოჩამჩირის გვლი[illegible]რაში ჩავედით. (რაზმში, თბილისელ[illegible]ა, იყვნენ ბოლნისე-



ლები [illegible]). ახალდაბაში ვერ შევედით. გადავწყვიტეთ, ათი კაცი უკან გამოვბრუნებულიყავით ხალხის შესაგროვებლად; წამოვედით ავტობუსით. გამოვიარეთ ოჩამჩირე და ჩავედით ზუგდიდში. იქ ჩვენი ავტობუსი გააჩერეს და მიგვიყვანეს შტაბში, სადაც დაგვხვდა შტაბის უფროსი ბადრი ზარანდია. შტაბში გაგვიკეთეს საშვი, რომ გზა გაგვეგრძელებინა და გამოგვიშვეს. სენაკში, თეკლათის საგუშაგოზე კვლავ გაგვაჩერეს, გვითხრეს, შტაბში უნდა მიხვიდეთო. შტაბში დაგვხვდა აკაკი ელიავა. მან განაცხადა, ზუგდიდიდან არის ბრძანება, რომან გვენცაძე დაბარებულია პრეზიდენტთან შესახვედრად და უნდა დაბრუნდეს ზუგდიდშიო. ბიჭები იქ დავტოვეთ და მე გია ფირცხალავასთან ერთად ზუგდიდში გავემგზავრე. ლოთი ქობალიას შტაბში დაგვხვდა კოტე ფირცხალავა — ყოფილი უზენაესი საბჭოს დეპუტატი. მან მითხრა, პრეზიდენტს აინტერესებს 1991 წლის 22 დეკემბრის ამბავიო. მე, რა თქმა უნდა, იგივე გავიმეორე, რაც მაშინვე არაერთხელ ვთქვი, თუ რა როგორ იყო სინამდვილეში, რომ სროლა პირველად პრეზიდენტის მომხრეებმა დაიწყეს და არა ოპოზიციამ, და ა.შ. მათ ჩაწერეს და მომაწერინეს ხელი. ზედმეტად ალარავის შევუწუხებივართ, ბოდიში მოგვიხადეს და, სანამ გამოგვიშვებდნენ, იარაღის ჩაბარება გვთხოვეს, — პრეზიდენტის განკარგულებააო. იარაღის ჩაბარებაზე, რა თქმა უნდა, უარი განვაცხადეთ. მაშინ მოვიდა ლოთი ქობალია და თავად ჩაერია საუბარში. მან დარეკა სენაკში და ელიავას უთხრა, ბიჭებისთვის დაებრუნებინათ იარაღი. ჩვენც გამოგვიშვეს, სენაკში დავბრუნდით და წამოვედით თბილისისკენ.

უნდა გითხრათ, რომ როცა პირველად გავიგე, ექსპრეზიდენტი მიბარებდა ზუგდიდში, არც ვიცოდი, თუ ის მართლა ჩამოსული იყო. ზუგდიდში რომ დამაბრუნეს, მეგონა, რომ ვნახავდი მას, მაგრამ რადგან იგი პირადად არ მინახავს, ეჭვი შემეპარა, ვიფიქრე, რომ ეს ყველაფერი ტყუილი იყო. ზვიად გამსახურდია რომ ნამდვილად ჩამოსული ყოფილა ზუგდიდში, ეს მე მხოლოდ თბილისში გავიგე.

რაც შეეხება ჩემს დამოკიდებულებას, მიმაჩნია, დამხმარე ძალა რომ დროზე ჩასულიყო იქ, სოხუმი არ დაიკარგებოდა. სამეგრელოში დიდი ძალები იყო თავმოყრილი. როცა ზუგდიდში ლოთი ქობალიას ვესაუბრე, მითხრა, რომ მომზადებულია და უკვე გადის საბრძოლველად. მაგრამ ეტყობა, მასაც შეუშალეს ხელი. იქ იყო გარკვეული ნაწილი, რომელსაც არ უნდოდა ბრძოლა. პიროვნული ყველას უნდა გადაედო განზე, მაგრამ ბევრმა ეს არ გააკეთა. მე ვაცხადებ: საქართველო გაყიდეს.

ესაუბრა
**ხათუნა ცხადაძე**

## ზურაბ მურვანიძე:

# აი, ამიტომ წავაგეთ ომი...

**საქართველოს პარლამენტის წევრი, სამედიცინო ჯარების ვიცე-პოლკოვნიკი ზურაბ მურვანიძე იმყოფებოდა ოჩამჩირეში, როგორც სამხედრო ექიმი სანიტარული მატარებლის შემადგენლობაში. გვინდოდა რა ნათელი მოგვეფინა სოხუმის დაცემის წინა დღეების სიტუაციისათვის ოჩამჩირეში, ჩვენ ვთხოვეთ მას ორიოდ სიტყვით მოეთხრო ნანახის შესახებ:**

— სანიტარული მატარებელი ამ ხაზზე თითქმის ერთი წელია დადის. მე ახლა მომმართეს როგორც სამხედრო ნეიროქირურგს, წინადადებით გავყოლოდი შემადგენლობას ოჩამჩირეში. თბილისიდან გასული შემადგენლობა სამეგრელოში, ინგირზე გააჩერეს შეიარაღებულმა რაზმებმა და გაჩხრიკეს. ჩვენ ავუხსენით, რომ ეს იყო სანიტარული მატარებელი და იარაღი არ მიჰქონდა. მე, როგორც სამხედრო ექიმს, მქონდა სატაბელო იარაღი, რომელიც წამართვეს და მითხრეს, თუ ექიმი ხარ, იარაღი რად გჭირდებაო. წაგვართვეს თეთრეული და საბნები, თუმცა ვუხსნიდით, რომ თეთრეული სტერილური იყო და დაჭრილთათვის იყო გამიზნული.

ამ ექსცესის შემდეგ ოჩამჩირემდე მშვიდობით ჩავედით. აქ დავიწყეთ საავადმყოფოს დაკომპლექტება დაჭრილთა მისაღებად. წინა ხაზზე გასვლა და დაჭრილთა გამოყვანა ორი დღე გრძელდებოდა. შემოვიდა 150-მდე დაჭრილი და 20-მდე გვამი. ერთი მეტად სამწუხარო დეტალი — მათგან ბევრს ჭრილობა დაუდევრობით ჰქონდა მიღებული — ბევრი არ იცვამს ჯავშანჟილეტებს, არ თხრის სანგრებს, არ იხურავს ჩაფხუტს, არ ხმარობს სასანგრე ჯოხებს, რომელთა მეშვეობითაც შესაძლებელია ქვეითთა საწინააღმდეგო ნაღმების ისე აფეთქება, რომ თავად არ მიიღო მძიმე დაზიანება. ასეთთა რიცხვი, ვიმეორებ, დიდი იყო. მაგრამ მთავარი ეს არაა. მთავარი ისაა, რომ ჩვენი შეიარაღება საგრძნობლად ჩამორჩება. ჩვენი ბიჭები ძირითადად ძველქართული ვაჟკაცობის წყალობით იბრძვიან, მათ ხელთ მხოლოდ ავტომატი და პისტოლეტია მაშინ, როცა მოწინააღმდეგე ავტომატსაც კი იშვიათად ხმარობს — ძირითადად ხელყუმბარებს, ნაღმტყორცნებსა და ყუმბარმტყორცნებს გვესვრის. ეს იმის შედეგია, რომ ზავის დადების პერიოდში ჩვენ ტექნიკა გამოგვყავდა, აფხაზთა მხარე კი გამალებით იარაღდებოდა. მსხვერპლის დიდი რაოდენობა იმანაც განაპირობა, რომ ჩვენი შეტევები პრიმიტიულ თავდასხმებს უფრო გავდა. ისინი არ იყო ორგანიზებული და ბოლომდე გათვლილი. სტიქიურად იწყებოდა და სტიქიურადვე მთავრდებოდა.

ასე გრძელდებოდა 23 სექტემბრამდე. შემდეგ კი დაჭრილთა შემოსვლა შეწყდა. ორ დღეში მხოლოდ ერთი დალუპული იყო და ისიც სნაიპერის ტყვიით მოკლული. მე, თუმცა წინა ხაზზე როგორც ექიმს გასვლის უფლება არ მქონდა, ამ დღეების დაჭრილთა და მიცვალებულთა რაოდენობის მიხედვით შემიძლია განვაცხადო, რომ ამ პერიოდში არანაირი შეტევა არ განხორციელებულა. თუ რატომ, ამას ვერ გეტყვით. იქნებ არ გვქონდა სათანადო ძალები, რათა მივხმარებოდით სოხუმს, რომელიც სულს ლაფავდა და ორ დღეში ჩაბარდა კიდეც, მაშინ წინა დღეების უდიდეს მსხვერპლს რაღა აზრი ჰქონდა, ან იქნებ ამას სხვა მიზეზი აქვს... ყოველ შემთხვევაში, იგი ჩემთვის უცნობია. (სხვათაშორის, შეტევათა შეწყვეტა საოცრად დაემთხვა ექსპრეზიდენტის ჩამოსვლასაც, მაგრამ არის თუ არა ეს ორი ფაქტი ერთმანეთთან კავშირში, ჩემთვის ძნელი სათქმელია...)

მართალი გითხრათ, მე არ მგონია, რომ სოხუმის გადარჩენა ოჩამჩირიდან მისულ ძალებს შეეძლოთ. ისინი მხოლოდ მცირე ხნით გაახანგრძლივებდნენ მის აგონიას, რადგან ოცდაათი ათასი კბილებამდე შეიარაღებული ადამიანის (არაოფიციალური ცნობებით, სწორედ ამდენი იყვნენ ქალაქის მოიერიშეები) შეჩერებას ჩვენ ვერ შევძლებდით.

იმასაც გეტყვით, რომ მალე ოჩამჩირეში მოგვივიდა ბრძანება, სანიტარული მატარებელი ფოთში გადაგვეყვანა, სადაც სოხუმიდან მომავალი ლტოლვილები და დაჭრილები ჩამოჰყავდათ. მე მაშინვე დავუკავშირდი მთავარ შტაბს, სადაც დამიმოწმეს ეს ინფორმაცია და ბრძანება გამიმეორეს. ამის შემდეგ ჩემთვის ნათელი გახდა, რომ ოჩამჩირეში არც კი აპირებდნენ შეტევის განხორციელებას, რადგან სანიტარული მატარებელი უსარგებლოდ ჩათვალეს, სხვა სახის ტრანსპორტი დაჭრილთა ევაკუაციისათვის კი ჩვენ არ გვქონდა. მე არ ვიცი, ღალატი იყო ეს თუ სტრატეგიული ჩანაფიქრი, მე მხოლოდ ჩემთვის ცნობილი ფაქტებით ვლაპარაკობ.

ესაუბრა
თენგიზ გოგოტიშვილი

# ხმა საინგილოდან

ძვირფასო რედაქციავ!

როგორც მოგეხსენებათ საინგილოს ქართველები წარმოვადგენთ იმ მცირე ერს, რომელიც მოქცეული ვართ აზერბაიჯანის რესპუბლიკაში და შენარჩუნებული გვაქვს ენა, სარწმუნოება და ქართული ტრადიციები.

ძველი დროიდანვე ვსულდგმულობთ საქართველოს მხარდაჭერით, ამიტომ მეტად აგვაღელვა და აღგვაშფოთა 1993 წლის 8-14 სექტემბრის გაზეთ „იბერია სპექტრში“ გამოქვეყნებულმა წერილმა სათაურით — „ინგილოების მოთხოვნა“ — შევარდნაძის გადადგომის შესახებ. მაგ წერილში ხელის მომწერნი წარმოადგენენ საინგილოში წვეთს, ხოლო საინგილოში მცხოვრებთა 99 პროცენტი ვგმობთ მათ ხელმოწერას, ხმას ვუერთებთ და გვერდში ვუდგებით მოწინავე ქართველი საზოგადოების აზრს. ჩვენი მიზანია, საქართველომ, ქართველმა ხალხმა თავი დააღწიოს კატასტროფას.

დღეს საქართველოს ისე უნდა ერთიანობა, როგორც მომაკვდავს ჰაერი და წყალი. კუთხეების გათიშვა მოგვაგონებს ბრძენის მიერ ნათქვამს — სხეულის ნაწილების ჩხუბს; როცა სხეული სიკვდილის პირას მიდგა, მაშინ მიხვდნენ სხეულის ნაწილები რომ განდგომით სხეული ილუპებოდა და ისევ დაიბრუნეს ძველი ერთობა, ამით კი აღიდგინეს სხეული.

საჭიროა ბოლოსდაბოლოს შევიგნოთ, რომ კუთხეების გათიშვა ნიშნავს საქართველოს დაღუპვას — რომელსაც 26 საუკუნის გმირული ისტორია გააჩნია.

საინგილოდან გაწვდით ხმას, გემუდარებით, მოდით ნუ დავღუპავთ საქართველოს, მოვიგონოთ აკაკი წერეთლის ლექსი:

„ჩონგური საქართველოა,
სიმები ჩვენ ვართ ყველაო,
შევუხმატკბილოთ ერთმანეთს,
ოდელა დელა დელაო“

ვერც ერთი საქართველოს მოთავე ვერ იხსნის კატასტროფიდან საქართველოს, თუკი არ იქნება ერთიანობა.

ინგილო ხალხის ეს ღაღადისი გთხოვთ მიაწვდინოთ მთელ საქართველოს.

**ინგილო ხალხის სახელით
ვამოწმებთ: სოფლის საბჭოს
გამგებელი: ს. ეპიტაშვილი
მოადგილე: ფ. ჭურიანოვ
20 . 09 . 1993 წ.**

# საქართველოს სახალხო ფრონტის მიმართვა დღევანდელი და ყოფილი ხელისუფლების მომხრეებისადმი, საქართველოს რესპუბლიკის ყველა მოქალაქისადმი

დღეს, სამშობლოში შექმნილი უმძიმესი ვითარების პირობებში, აცნობიერებს რა ყოველი ქართველის, საქართველოს რესპუბლიკის თითოეული მოქალაქის პირად პასუხისმგებლობას დღევანდელი და მომავალი თაობების წინაშე, საქართველოს სახალხო ფრონტი მიმართავს დღევანდელი და ყოფილი ხელისუფლების მომხრეებს:

ჩვენო სისხლისმიერნო ძმანო და დანო! დღეს სოხუმში იმარჯვებს ან მარცხდება არა რომელიმე პიროვნება, პიროვნებათა ჯგუფი ან ესა თუ ის ხელისუფლება, არამედ საქართველოს, ჩვენი სამშობლოს მომავალი.

იმედს გამოვთქვამთ რომ საქართველოს დაუძინებელი მტრის მიერ გარედან ინსპირირებულმა და წარმართულმა სხვადასხვა შეფერილობის შიდა ომებმა დაგარწმუნათ, რომ მტერიც და მოყვარეც გაცილებით მეტ ანგარიშს უწევს ერთ მუშტად შეკრულ, მონოლითურ საქართველოს, ვიდრე რაგინდ დიდი საერთაშორისო თუ შიდა ქართული ავტორიტეტის პიროვნებებს.

ალყაშემორტყმულ სოხუმში, სადაც მრავლად არიან ჩვენი მიმართვის ადრესატები, ყველაზე ადრე მიხვდნენ ამ მარტივ ჭეშმარიტებებს და მიუხედავად ბატონ ედუარდ შევარდნაძისადმი არაერთგვაროვანი დამოკიდებულებისა, მის მხარდამხარ გმირულად იბრძვიან ყველანი, მათთვის ერთნაირად სათაყვანებელი დედა-სამშობლოს გადასარჩენად. მიუხედავად იმისა, თუ რა კონკრეტულ შედეგს მოიტანს მათი თავგანწირული ბრძოლა, ისინი, ხაზს ვუსვამთ, უკლებლივ ყველანი გმირებად შეირაცხებიან ისტორიისა და მომავალი თაობის მიერ.

მაგრამ, ჩვენ ყველანი, აქაც ხაზს ვუსვამთ, უკლებლივ ყველანი, ვინც კი დღეს ვიმყოფებით კორდორს გადმოღმა, რა ობიექტური თუ სუბიექტური მიზეზების გამოც არ უნდა დავაგვიანოთ ალყის გარღვევა, ჩვენი უმოქმედობის თუ არაშედეგიანი მოქმედების გამო — პასუხს ვაგებთ დღევანდელი და მომავალი თაობის წინაშე.

ქართველი მოღალატეების „ტრადიციული“, ისტორიულად ნაცადი ხერხი საკუთარი ღალატის დაღუპულებზე გადაბრალებისა დღეს უკვე აღარ გასჭრის და დამნაშავე პასუხს აგებს არა მარტო ისტორიის, არამედ დღევანდელობის წინაშე.

საქართველოს სახალხო ფრონტი.
25 სექტემბერი 1993 წ.

დასასრული

## ქობალია მოდის „ყვავილების“ სროლით

რაზმები ტყვიების ნაცვლად მოწინაალმდეგე მხარეს ვარდებსა და გვირილებს ესვრიან...

ამ „ვარდებითა“ და „გვირილებით“ კი ილუპებიან ქართველები. მერე და რისთვის? მხოლოდ იმისთვის, რომ თუშმალიშვილი — გუგუშვილ — მოლოდინაშვილებმა თავიანთ ძვირფას საჯდომებს ერთხელ კიდევ მოარგონ რბილი სავარძლები.

მითი „კანონიერი“ ხელისუფლების მშვიდობიანი გზით აღდგენის შესახებ უკვე მოკვდა.

მთელი საქართველო უკვე თვალნათლივ ხედავს, როგორ „მშვიდობიანად“ მოიწევენ ექსპრეზიდენტის მომხრეები.

ახალ სიტუაციაში მათ ძველი ფორმულა მშვიდობიანი ბრძოლის შესახებ დაივიწყეს და სასწრაფოდ ახალი გადმოაგდეს — კანონიერი გვარდია იწყებს კანონიერი ხელისუფლების აღდგენასო.

აკი იარაღს არ ავიღებთ ხელშიო?

გამართლდა გამსახურდიას წინასწარმეტყველება. ჩემი გადადგომის (წასვლის) შემთხვევაში ძმა-ძმას, მეზობელი-მეზობელს, უბანი-უბანს, კუთხე-კუთხეს დაერევაო, რომ ამბობდა.

ოღონდ ეგ არის, რის გაკეთებასაც კაცი მომავალში აპირებს, იმის პროგნოზირებას დიდი წინასწარმეტყველის ნიჭი არ სჭირდება.

ნოდარ ბრიგალაშვილი

* * *

## ვისაც ყური აქვს სმენად, ისმინეთ

როცა მეცხვარის ძაღლებს მოუვათ
ჩხუბი და მწარედ ერთმანეთს კბენენ,
მაშინ პატრონსაც აღარ ჰზოგავენ,
თუ ჰიეშველა... მასაც უღრენენ...

მაგრამ იმავ დროს, თუ გაჩნდა მგელი
იმ არემარეს, სადმე მახლობლად,
შესწყვეტენ ბრძოლას და ყველა ერთად
იმ მტერს მისდევენ მოსაგერებლად

თუ კი ოთხფეხსაც ჰქონია, ვხედავთ,
ამდენი გრძნობა და მოსაზრება,
მაშ ადამიანს... მაღალ ქმნილებას,
განა შეჰშვენის და ეკადრება,

რომ მთლად გადაჰყვეს მის პირადობას,
შინაურებზე არისხებდეს გულს
და ვერ ხედავდეს, მეტის სიფიცხით,
მის დასაღუპავად მტერს, მასზე მოსულს?

ნუთუ ვერ ჰხედავთ რა დღე გვადგია?
რამ დაგავიწყათ თქვენ თქვენი ვალი?
გინდათ დაჩლუნგოთ თქვენ ერთმანეთზე
მტრის სასიკვდილოდ ნალესი ხმალი?!

ეგ ღალატია და დრო კი სხვას გიხოვსთ...
მიეცით ხელი ერთმანეთს ძმურად,
და წმინდა სისხლი ერთად დასთხიეთ
მამულისათვის მამაპაპურად!

აკაკი

# საქართველოს სახალხო ფრონტის მიმართვა საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტისადმი

საქართველოს სახალხო ფრონტი კიდევ ერთხელ მიმართავს საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტს შემდეგი წინადადებებით:

1. საქართველოს პარლამენტმა თავისი დადგენილებით დააფიქსიროს რუსეთის ფედერაციის მიერ საქართველოს მიმართ წარმოებული გამოუცხადებელი ომის ფაქტი;

2. საქართველოს პარლამენტმა ფაქტობრივი მდგომარეობის შესაბამისად გამოაცხადოს საქართველოს რესპუბლიკის ჩრდილო-დასავლეთი, რუსეთის ფედერაციასთან მოსაზღვრე ტერიტორიები რუსეთის ფედერაციის მიერ ოკუპირებულად;

3. საქართველოს პარლამენტმა მიმართოს უშიშროების საბჭოს, რათა აღიარებულ იქნას რუსეთის ფედერაციის მხრიდან საქართველოს მიმართ აგრესიის ფაქტი და ეთხოვოს მიიღოს ყველა შესაძლო ღონისძიებანი ამ აგრესიის შესაჩერებლად;

4. საქართველოს პარლამენტმა მიმართოს გაეროს რუსეთის ფედერაციის აგრესორის, ჯარებისათვის გაეროს ეგიდით სამშვიდობო ძალების სტატუსის მინიჭების დაუშვებლობის შესახებ;

5. აფხაზეთის „ხელისუფლება“ გამოცხადდეს საოკუპაციო ხელისუფლებად. ეცნობოს მსოფლიოს, რომ რომელიმე ქვეყნის, საერთაშორისო ორგანიზაციის იურიდიული თუ ფიზიკური პირის ნებისმიერი სახის თანამშრომლობა და დახმარება საოკუპაციო ხელისუფლებისადმი ჩაითვლება საქართველოს რესპუბლიკის წინააღმდეგ მიმართულ მტრულ მოქმედებად;

6. პარლამენტის მიერ კონსტატირებულ იქნას ფაქტი, რომ ოკუპირებულ ტერიტორიაზე განხორციელდა მოსახლეობის ფართომასშტაბიანი გენოციდი და ეთნიკური წმენდა;

7. საქართველოს პარლამენტმა მიიღოს დადგენილება, რომლის მიხედვითაც:

ა) ოკუპაციის პირობებში შემოსული უცხო ქვეყნის მოქალაქეების მიერ ოკუპირებულ ტერიტორიაზე ნებიემიერი ქონების შეძენის თუ მოპოვების ფაქტი არის და იქნება უკანონო;

ბ) რომ უკანონო არის და იქნება ოკუპირებულ ტერიტორიაზე უცხო ქვეყნის მოქალაქეთა ჩასახლებისა და ცხოვრების ფაქტი, საოკუპაციო ხელისუფლების მიერ გამოცემული ნებართვის საფუძველზე, იმ შემთხვევაშიც კი, თუ ეს მოქალაქე უშუალოდ მონაწილეობდა საომარ მოქმედებებში;

8. მოეთხოვოს რუსეთის ფედერაციას, მიიღოს საერთაშორისო აქტებით ნაკისრი ვალდებულებით გათვალისწინებული ყველა ზომები და არ დაუშვას რუსეთის ტერიტორიაზე დაქირავებულთა შეიარაღებული ფორმირებების შექმნა, განლაგება, წვრთნა და აღკვეთოს მათი შემოგზავნა საქართველოს ტერიტორიაზე;

9. პარლამენტის დადგენილებით მოეთხოვოს რუსეთის ფედერაციას, როგორც ყოფილი სსრკ-ს სამართალმემკვიდრეს, დაუყოვნებლივ გადმოსცეს საქართველოს რესპუბლიკას სამხედრო ტექნიკისა და შეიარაღების ის წილი, რომელიც ეკუთვნის საქართველოს საერთაშორისო კვოტების მიხედვით;

10. მოეთხოვოს რუსეთის ხელისუფლებას, რომ რუსეთის ფედერაციის შეიარაღებულმა ძალებმა ტექნიკურად უმოკლეს ვადაში დატოვონ საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორია;

11. საქართველოს პარლამენტი წარსდგეს გაეროს წინაშე წინადადებებით, რომ ზოგადად აკრძალოს ამა თუ იმ ქვეყნის შიგნით მიმდინარე კონფლიქტებში ამ ქვეყნის მოსაზღვრე ჯარების გაეროს ეგიდით გამოყენება.

01.10.93 წ.

## ცხინვალში იზეიმეს სოხუმის დაცემა

შაბათს, 25 სექტემბერს ცხინვალიდან დიდი ზარ-ზეიმით გააცილეს მოხალისედ წამსვლელთა საკმაოდ დიდი ჯგუფი. ოსი ბოევიკებით სავსე ორი ავტობუსის საქარე მინებზე გარკვევით ეწერა „АБХАЗИЯ“. სოხუმის დაცემის წინა დღეს მათ მშვიდობიანად ჩააღწიეს დანიშნულების ადგილზე. მტრის მიერ სოხუმის აღების ცნობამაც უდიდესი აღფრთოვანება გამოიწვია ოს მოსახლეობაში. ცხინვალის ცა დაფარა ფერადი შუშხუნებისა და მოტრასირე ტყვიების გირლანდებმა. მეორე დღეს მთელი ქალაქი ღრეობდა, რაც აშკარად ეტყობოდათ სამაჩაბლოს სოფლებში მოჯირითე უნიფორმიანი ოსების ჯგუფებს, რომლებიც არც ადრე გამოირჩეოდნენ წესიერებით, ახლა კი სულ აიშვეს თავი. ქალაქის ოსურმა ტელევიზიამ ხალხს მიულოცა მომხდარი და აღნიშნა, რომ კიდევ ერთი ნაბიჯი გადაიდგა „საერთო მტრის“ საბოლოო დამარცხებისთვის.

## კულუმბეგოვი შეცვალა ჩიბიროვმა, საერთო პოზიცია არ შეცვლილა

ცხინვალის ხელისუფლების უმაღლეს ორგანოებში საკადრო ცვლილებებმა შეი[illegible] ხნით გამოიწვიოს ოსური სეპარატიზმის იდეოლოგიის შეცვლა. კულუმბეგოვის ჩიბ[illegible] გამო[illegible]ა არც ხანგრძლივი დროით და არც დიამეტრალურად არ შეცვლის ოსთა პოზიციას, რადგან ცხინვალ[illegible]ლზე ძლიერია ომის პარტიების გავლენა, მითუმეტეს ეხლა, როცა ქართულმა მხარემ ოსთა ბუნებრივ მოკავშირესთან — აფხაზებთან მარცხი განიცადა.

თვითონ ახალ უზენაეს ხელისუფალს, სამხრეთ ოსეთის პედაგოგიური ინსტიტუტის, ამ ბოლო დროს უნივერსიტეტად მონათლულის ყოფილ რექტორს ლუდვიგ ჩიბიროვს მხოლოდ ინტელიგენციის მცირე ნაწილი უჭერს მხარს.

## ოსი მომიტინგენი ითხოვენ...

2 ოქტომბერს ცხინვალში ჩატარდა ადგილობრივი მოსახლეობის გა[illegible]ების მიტინგი, რომელზეც ილაპარაკეს რეგიონში შექმნილ მდგომარეობაზე. ახალი რეალობიდან გა[illegible] მხედველობაში გვაქვს ქართული ჯარების მიერ აფხაზეთის ტერიტორიის დატოვება, შიდა ქართლში [illegible] შეიძლება შეიცვალოს. ეს ამ მიტინგის მსვლელობისასაც გამოითქვა. კერძოდ, ზოგიერთმა გამომ[illegible] აღნიშნა, რომ დიდი ლიახვის ხეობის (სამაჩაბლოს) ქართულმა მოსახლეობამ უნდა დასცალოს სოფლ[illegible].

ოსების ამ პროვოკაციულ გამოსვლებს, როგორც არასდროს გონივრულობით უნდა შეხვდეს რეგიონის ქართული მოსახლეობა, რათა მტერმა მესამე ფრონტი არ გახსნას.

მერაბ მაისურაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

# «ჩვენ ბოლოებმა დავტოვეთ სოხუმი»

(სოხუმის უკანასკნელი დღის ქრონიკა)

ედუარდ შევარდნაძემ პრაქტიკულად ბოლომ დატოვა სოხუმი. მას თან ახლდა სულ რამოდენიმე ადამიანი. ჩვენი კორესპონდენტი შეხვდა და გაესაუბრა ორ მათგანს — პირადი დაცვის წევრს, ზაზას, რომელმაც თავისი გვარის გამხელა არ ისურვა და ინფორმაციაც საკმაოდ მწირი მოგვაწოდა და ავთანდილ ჯორბენაძეს, სახელმწიფო უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოადგილეს. ვფიქრობთ, მკითხველს დააინტერესებს სოხუმის დაცვის უკანასკნელი საათების ქრონიკა.

სახელმწიფოს მეთაურის პირადი მცველი ზაზა:

— მხოლოდ იმის თქმა შემიძლია, რომ ჩვენ უკანასკნელებმა დავტოვეთ ქალაქი 27 სექტემბერს საღამოს 6 საათზე, როდესაც იგი პრაქტიკულად დაკავებული ჰქონდათ აფხაზებს. ჯერ ავტომანქანებით გავემგზავრეთ აგუძერაში, სადაც სოხუმიდან იყო გადატანილი შტაბი. საღამო და მთელი ღამე იქ დავყავით და დილით ჩვეულებრივი სამგზავრო თვითმფრინავ „ტუ-134“-ით გამოვფრინდით, თან დაჭრილები და ლტოლვილები წამოვიყვანეთ. სახელმწიფოს მეთაურის თვითმფრინავი სოხუმის აეროპორტში დავტოვეთ, რომელიც განუწყვეტლივ იბომბებოდა. ჰაერიდან დავინახეთ, რომ ზღვაში კატერებზე შეგვამჩნიეს და ერთი მათგანი ჩვენსკენაც წამოვიდა, მაგრამ არ უსვრია. ალბათ ვერც იფიქრეს, რომ ბატონი ედუარდი ჰაერით გაბედავდა დაეტოვებინა სოხუმი.

სახელმწიფოს მეთაურს თან ახლდნენ ირაკლი ბათიაშვილი, კოტე გაბაშვილი, ავთო ჯორბენაძე, სანდრო კავსაძე, ექვსი პირადი მცველი და კიდევ რამოდენიმე პირი. თბილისში 28 სექტემბერს დილით ადრე დავბრუნდით.

სახელმწიფო უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოადგილე ავთანდილ ჯორბენაძე:

— მე ბატონ ედუარდს თავიდან ბოლომდე ათი დღის განმავლობაში ვახლდი სოხუმში. ჩვენ ქალაქი ბოლოებმა დავტოვეთ. რაც შეეხება იმ საბედისწერო დღეს, დილით ბატონმა ედუარდმა ჩაატარა თათბირი მინისტრთა კაბინეტში, შემდეგ კი კორპუსის შტაბისაკენ გაემართა, რათა შეხვედროდა მის ხელმძღვანელობასა და ქვეგანაყოფების მეთაურებს. გზად, სოხუმის შესასვლელთან წითელ ხიდზე შეხვდა მებრძოლებსა და ტექნიკას, რომლებიც წინა ხაზიდან წამოსულიყვნენ თავდაცვის უხეირო ორგანიზების გამო. შევარდნაძემ თავად მოაბრუნა ისინი და თავდაცვის ახლადშექმნილ ზღუდეზე გაგზავნა.

შტაბში თათბირის მუშაობა ორი მიმართულებით წარიმართა: ქალაქის გამაგრება და მშვიდობიანი მოსახლეობისა და დაჭრილების ევაკუაცია. სახელმწიფოს მეთაური სულ 20–25 წუთის გამოსული იყო აფხაზეთის მინისტრთა საბჭოს შენობიდან, როდესაც იქიდან შტაბში დაგვიკავშირდა ჟიული შარტავა, შეგვატყობინა, რომ იგი ალყაშემორტყმული იყო და დახმარება გვთხოვა. მის გამოსაყვანად ტანკითა და „ბტრ“-ით წავიდა ბრიგადის მეთაური დათო თევზაძე, მაგრამ მიუხედავად მისი მამაცური ცდისა, ვერ შეძლო ალყის გარღვევა და მთავრობის სახლამდე მიღწევა. იქვე შენობასთან გამართულ ბრძოლაში ბატონ დათოს „ბტრ“-ი აუფეთქეს. მინისტრთა საბჭოს შენობაში დარჩნენ ბატონი ჟიული, რამოდენიმე მინისტრი, აპარატის თანამშრომლები, დაცვა და „ავლანელთა“ რაზმი...

ამავე დროს დაიწყო კორპუსის შტაბისა და სამთავრობო დასასვენებელი სახლის ტერიტორიების მასირებული დაბომბვა. გაწყდა კავშირი და სახელმწიფოს მეთაურს მეტად გაუჭირდა სიტუაციის კონტროლს ქვეშ შენარჩუნება. ამას ისიც დაერთო, რომ რუსებმა მთიდან მოგვიარეს და შტაბთან აღმოჩნდნენ. ამიტომ, თუმცა თავად ბატონი ედუარდი წინააღმდეგი იყო, გადაწყდა შტაბის აგუძერაში გადატანა. დღის 4-5 საათი იყო, როდესაც მსუბუქი ავტომანქანებით აგუძერისკენ დავიძარით. ტრასა პრაქტიკულად მოწინააღმდეგის კონტროლის ქვეშ იყო და გამუდმებით იბომბებოდა. ერთი ჭურვი შევარდნაძის პირადი დაცვის მანქანის ახლოს აფეთქდა. რამოდენიმე ბიჭი დაიჭრა. ამ დროისათვის მოხერხდა ყველა დაჭრილის გამოყვანა სოხუმიდან. საღამოსა და ღამის განმავლობაში აგუძერის გარშემოც ძლიერ გართულდა ვითარება და აუცილებელი გახდა ედუარდ შევარდნაძის თბილისში გადმოყვანა. ლტოლვილები რუსეთისა და უკრაინის გემებს ფოთამდე გამოჰყავდათ.

რაც შეეხება სახელმწიფოს მეთაურის აფხაზეთიდან გამოსვლას, შემუშავდა მისი თბილისში დაბრუნების ორი ვარიანტი — ზღვითა და ჰაერით. სახმელეთო გზა მოჭრილი იყო. ჩვენი მანქანები ზღვის ნაპირისკენ გაემგზავრნენ, მოგვიახლოვდა ქართული კატერიც, მაგრამ მას და მანქანების კოლონას ცეცხლი გაუხსნეს მოწინააღმდეგის გემებმა და ნაპირამდე არ მოუშვეს. მაშინ გავემართეთ სოხუმის აეროპორტში, მაგრამ მფრინავების ნაწილმა უარი თქვა აფრენაზე. ბოლოს შედგა ადგილობრივი პილოტების ეკიპაჟი, რომელმაც გარისკა ჰაერში აფრენა. ამ დროისთვის აეროპორტში შეგროვილი დაჭრილები და ლტოლვილებიც თვითმფრინავში ჩავისვით და „ტუ-134“-ით გამოვფრინდით.

ჰაერში აფრენისთანავე მიწიდან და ზღვიდან გაგვიხსნეს სხვადასხვა იარაღის ცეცხლი, მაგრამ საბედნიეროდ მშვიდობით გამოვაღწიეთ. სოხუმში მხოლოდ ჯაბა იოსელიანი და გია ყარყარაშვილი დარჩნენ.

განსაკუთრებით მინდა აღვნიშნო ედუარდ შევარდნაძის, როგორც ხელმძღვანელის, მოქალაქის ვაჟკაცობა. იგი თავად აბრუნებდა უკან მებრძოლებს, რომლებმაც მიატოვეს პოზიციები. სრულიად დარწმუნებული ვარ, რომ ამ ათი დღის განმავლობაში სოხუმი მხოლოდდამხოლოდ იმიტომ არ დაეცა, რომ იქ შევარდნაძე იმყოფებოდა.

დაბოლოს, არ შემიძლია არ ვთქვა ბატონ ჟიული შარტავას შესახებ. იგი დარჩა იმ ქალაქში, რომელსაც იცავდა. მისი დაღუპვა ჩვენთვის დიდი დანაკარგია და დიდი ტკივილი. ბატონმა ჟიულიმ ყველაფერი გააკეთა ქალაქის გადასარჩენად, რაც კი შეიძლებოდა. ჩემთვის და ყველა მათგანისათვის, ვინც იგი სოხუმში საქმეში ნახა, ჟიული შარტავა სამუდამოდ გმირად დარჩება. მიჭირს კაცზე, რომელთან ერთადაც ორი დღის წინ ერთად ვმუშაობდი, წარსულ დროში საუბარი, მაგრამ ერთი ვიცი — მისი საქმე, ჩვენი საქმე უკვალოდ არ ჩაივლის და საბოლოოდ მაინც გაიმარჯვებს.

ჩაიწერა
თენგიზ გოგოტიშვილმა

# სოხუმის დაცემის წინა დღეები

ვახტანგ კომახიძე

## ალყაშემორტყმული ქალაქისაკენ

ომის სუნი თბილისის აეროპორტშივე ტრიალებდა. მოსაცდელი დარბაზი სავსე იყო ჯარისკაცებით, თვალცრემლიანი ქალებითა და ბარგი-ბარხანით. არ მუშაობს რეპროდუქტორი. რამდენიმე კომერციული რეისი თუ სრულდება მოსკოვისკენ, კიევისკენ, მგონი ფრანკფურტისკენაც. ჯარისკაცებს კრიჭა შეკვრიათ, მძიმე კირზის ჩექმების ხრიგინ-ხრიგინით ბოლთას სცემენ. ჩემთან ახლოს მანდილოსანი ძალით უკუჭავს ჯარისკაცს ჯიბეში რუსულ ფულს. ჯარისკაცი თითქოს წინააღმდეგობასაც უწევს, ხუთიათასიანია. ყველა სოხუმში ჩამოგდებულ სამგზავრო თვითმფრინავებზე ლაპარაკობს. დახოცილთა სიების გამოქვეყნებას ელიან, წინასწარ ღვრიან ცრემლს ქალები. კიპლინგის ერთი ლექსი მახსენდება —

„Я хлеб твой ел, я вино твоё пил.
Я и радость и горе с тобою делил..
Боль смертей твоих – это боль моя
Твоя каждая жизнь – это я.“

დრო გადის სოხუმის აეროპორტის გახსნის მოლოდინში, მაგრამ სოხუმთან კავშირიც კი არაა. სოხუმი ალყაშია. ჯარისკაცები ამბობენ, რომ სოხუმში შეღწევა სვანეთიდან შეიძლება, თუმცა იმასაც ამბობენ, რომ მარტო ავტომატებით ამის გაკეთება შეუძლებელია. ერთი ნაღმტყორცნი და ტყვიამფრქვევი მაინცაა საჭირო.

შევიტყვე რომ „თეთრი არწივისა“ და „შავნაბადას“ თბილისში დარჩენილი ნაწილები გვარდიის სამმართველოს შენობიდან ავტობუსებით აპირებდნენ სოხუმისკენ გამგზავრებას. მაშინვე იქით გავეშურე, რომ მათთან ერთად გამგზავრების უფლება მიმეღო. ამგვარი ნებართვა სამმართველოს უფროსისგან უპრობლემოდ მივიღე. მე მოვხვდი „თეთრი არწივის“ სადესანტო საიერიშო ბატალიონის მებრძოლთა რიგებში.



ავტობუსებში ჩავსხედით და აეროპორტისკენ გავეშურეთ. პატარა თვითმფრინავით — „იაკ“-ით გადავფრინდით ფოთში. ფოთიდან ბარჟით ან კატარღით შეიძლებოდა ოჩამჩირეში შეღწევა, ოჩამჩირიდან კი — სოხუმში. ბიჭებმა არყის ბოთლები ამოიღეს და ერთმანეთს გზა დაულოცეს. ოცდაოთხნი ვიყავით.

## კატარღა „განთიადი“

ფოთის პატარა აეროპორტიდან რომელიღაც სანატორიუმში წაგვიყვანეს. ეგზოტიკური პალმები და ევკალიპტები, ასფალტზე ზლაზვნით მოსიარულე ძროხები და ზღვის ჰავა წამიერად თითქოს გავიწყებს ომს, მაგრამ მებრძოლთა თვალებში მხოლოდ ის კაეშანი მოჩანს, ომი რომ უგუბებს ადამიანს სულში. მებრძოლთა თვალები მხოლოდ იმ ვნებას აფრქვევს, ომში დასახარჯად რომ დუღს მთელს სხეულში. და გრძნობ, რომ მებრძოლის სული უფრო მაღალია, ვიდრე ეს მშვენიერი ევკალიპტები და ისე მიიწევს ომისკენ, თავის მეომარ ძმებთან, როგორც შავი ზღვის აბორგებული ტალღები ამ პატარა საპორტო ქალაქისაკენ.

სანატორიუმი და ჯარისკაცი, რა თქმა უნდა, შეუფერებლობაა. თითქოს ვერ ეგუება გაპრიალებული იატაკი კირზის ჩექმებს. საზღვაო ტრანსპორტის მოლოდინში ჯარისკაცებმა იარაღი გაწმინდეს და საბრძოლოდ გაამზადეს. ღამით შეგვატყობინეს, რომ პორტში კატარღა „განთიადი“ გველოდებოდა.

კატარღა ბარჟაზე სწრაფად მოძ[illegible] ოჩამჩირემდე მას სამი საათი მაინც სჭირდებოდა. თანა[illegible] [illegible]რო ტექნიკისათვის ჩვენი კატარღა არანაირ პრობლემას ა[illegible] [illegible]ქმნიდა. გავცდით თუ

ფოთს, კაპიტანმა კატარღაზე ყველა სინათლე ...რთო. ჩვენ ფანჯრებიდან ვიყურებოდით. არ ჩანდა ...გადიოდა ზღვარი ცასა და ზღვას შორის, მხოლოდ ...ლები ტყლაშუნებდა კატარღის კედლებზე.

— ცურვა იცი? — მეკითხება ვახო, ერთ-ერთი ...სკაცი, რომელიც ჩემთან ერთად გაჰყურებდა ...ნ ღამეს. მეუბნება, ჩვენი კატარღა ორ წუთში ...რება, თუ გვესროლესო. — მაგრამ გადარჩენის ...ნსი მაინც არის. თვითმფრინავით არანაირი შანსი ...გვქონდა. ყველა თვითმფრინავს აფეთქებენ.

...სიბნელეში ბიჭებს ვერ ვხედავდი, მაგრამ ...ვიცნობდი, რომ ყველა გადარჩენის იოტისოდენა ...დის ანაბარა იყო. საბედნიეროდ, ვერ შეგვნიშნეს ... პირდაპირ პლაჟზე მიყენებული კატარღიდან ...გირით დავეშვით ოჩამჩირის აქაფებულ ნაპირზე.

## დაბომბვა

თვითმცლელი კრაზის ძარაზე შემომსხდარნი კინდღისკენ მივეშურებით. ცაგერადან გზა უკვე ...შია. ყოველ წამს შეიძლება ისროლოს ტყეში ...აფრებულმა მტერმა. მებრძოლებმა ავტომატები გააჩხა...ნეს და ლულები გზის ორივე მხარეს, ტყისაკენ მიმართეს. ბოლოსდაბოლოს მივაღწიეთ კინდღამდე. აქ ჩვენი ...ტილერია იდგა. მოძრაობდა მძიმე ტექნიკა, სასწრაფო ...მარების მანქანები. გენერლები საქმიანად მიდი-მო...დნენ. გვითხრეს, სადაც უნდა გავჩერებულიყავით. ... ბუჩქებთან მივწექით.

— შენ კორესპონდენტი ხარ? — მეკითხება თამაზი.

— კი, კორესპონდენტი ვარ, — ვუპასუხე მე.

— ჩვენზე უნდა დაწერო?

— კი.

— მაშინ კარგად დაწერე! — მეუბნება.

— ვეცდები.

...ვიწექით და ოპერაციის დაწყებას ველოდებოდით. ...გორც ამბობდნენ, ოპერაციას დათუაშვილი და ...შვილი ხელმძღვანელობდნენ. უნდა გაგვერღვია ფრონ...ის ხაზი და სოხუმის დამცველებს შევერთებოდით. ...მოდ დიდ ძალებს ჰქონდა თავი მოყრილი. წინ კიდევ ...და ყოფილიყო ცოცხალი ძალა და მძიმე ტექნიკა. იქ ...და ყოფილიყო პოლკოვნიკ ქობალიას შენაერთი. ფრონტის ...ნ ხაზიდან კარგად ისმოდა სროლის ხმა. ჩვენი არტილერია ...წუთიანი შუალედებით ისროდა. ყველაფერს კარგი პირი ...ნდა, თუმცა ამ შთაბეჭდილებამ ერთ საათს გასტანა. ...ერთი საათის შემდეგ ჩვენს თავზე მტრის ჭურვმა ...იზუზუნა. ყველა მიწას გაეკრა. აფეთქებას აფეთქება ...ჰყვა და კიდევ აფეთქება. „გრადი" სეტყვასავით ...დოდა. ისროდნენ ზღვიდან, საოცარი სიზუსტით და ... რამეს აცილეს, ალბათ იმიტომ, რომ ხომალდს ზღვა ...ქანდა და კიდევ იმიტომ, რომ პირველივე ჭურვის ...ცემის შემდეგ ჩვენმა არტილერისტებმა თავიანთი ...მეხებიანად მოცოცხეს. მე გამაკვირვა მოცოცხვის ასე ...რაფად ჩატარებულმა ოპერაციამ. გენერლები კი ...ლებში ჩასხდნენ და (შეუძლებელია ეს სიტყვა არ ...მარო) დაითესნენ. აქ დარჩენილმა ერთადერთმა



...ნერალმა, რომელიც ეტყობოდა მოცოცხვის ოპერაციას ...ხელმძღვანელობდა, პანიკით მოცულ ჯარისკაცებს ...უძახა, რისი გეშინიათ, ჩვენ გადავჯგუფდებით, რადგან ...ნი კოორდინატები მათთვის ცნობილია, რომ არ ...აფეთქონ, გადავადგილდებით და იქიდან ვესვრითო. ...ისკაცებმა პოზიციები დაიკავეს, ოღონდ ჩვენი ქვემეხების ... აღარ გაგვიგია. ღალატია, აქა-იქ ისმოდა ეს სიტყვა.

## ღალატი

სიტყვა ღალატი ჯერ კიდევ ბავშვობაში, ისტორიის სახელმძღვანელოებიდან შევისწავლე და მაშინ ...ტომღაც მეგონა, რომ ამ სიტყვას ჩვენს დროში ...ოლოდ ისტორიულ რომანებსა და კინოფილმებში ...ებდნენ. რა გასაკვირია და, სამწუხაროდ, ახლა ასე ...რ მგონია.

...დაბომბვის შემდეგ თავში მსუბუქად დაჭრილი გოგა ... მე მეთაურმა ოჩამჩირისკენ გაგვამგზავრა საბარგო ...ზით. ძარაზე ჩვენთან ერთად ახლადაბიდან გადარ...ლი ქალი და მისი ბავშვები ისხდნენ. ტამიშს სანამ ...ვდებოდით, ტყიდან ავტომატის ცეცხლი გაგვიხსნეს. ...მა იყვირა, არ ისროლოთო და ბავშვები ჩაიკრა. ...საავადმყოფოში გოგას ჭრილობა გაუკეთეს და ...ვიეს. ექიმი ძალიან მეცნობოდა. საავადმყოფოდან ... გამოვედი, მაშინვე მივხვდი, იგი დეპუტატი ზურაბ მურვანიძე იყო. მივბრუნდი და ვუთხარი, რომ ჟურნალისტი ვიყავი და ავტომატი მჭირდებოდა. მან უფლება მომცა, მისი სახელით იარაღი შტაბში მეთხოვა, სადაც დაუფიქრებლად უარი მომახალეს. შტაბთან ორი უცხოური მანქანა იდგა. ამბობდნენ, რომ ისინი კიტოვანს ემსახურებოდნენ. შტაბში შევბრუნდი და კიტოვანი მოვძებნე. ვუთხარი რომ „საქართველოს"



კორესპონდენტი ვიყავი, მაგრამ მზად ვიყავი იარაღით ხელში წავსულიყავი ფრონტის ხაზზე. ხალხი მე თვითონ შესაიარაღებელი მყავსო, მიპასუხა მან. გარეთ გამოვედი და თვალში ისევ ის უცხოური მანქანები მომხვდა. არ ვიცი, მართლა ეკუთვნოდა თუ არა ისინი ბატონ კიტოვანს...

ღამით წყლის მოსატანად გასულმა კიდევ ერთხელ ჩავუარე შტაბს. უკანა გზაზე შტაბის ფანჯრიდან ნარდის დაფაზე გაგორებული კამათლების ხმა მომესმა. მთელი ღამე ვცდილობდი დამერწმუნებინა საკუთარი თავი, რომ ეს კამათლების ხმა არ იყო. იმ ღამეს ბიჭებიც დაბრუნდნენ. იმ ღამეს რატომღაც ღალატზე ლაპარაკობდნენ.

— თხუთმეტი კაცი ტანკთან ერთად შეტევაზე გაგვიშვეს, — ყვებოდა ერთ-ერთი მებრძოლი. — ტანკი წინ მიდიოდა და უკან მივყვებოდით. ცოტა ხანში ტანკმა გაგვისწრო და თვალს მიეფარა. დავედევნეთ და როცა მივუახლოვდით, შემოგვიბრუნდა და ცეცხლი გაგვიხსნა. ჩვენ ჩავწექით, მაგრამ ტანკი მაინც ისროდა. რა უნდა გვექნა, უკან გავიქეცით. უკნიდან, მგონი გორის ბატალიონი იყო, ავტომატებით დაგვაყარეს. თხუთმეტიდან მარტო მე გადავრჩი. მერე კი გორის ბატალიონიც გაწყვიტეს, რამდენიმე კაცი გადაურჩათ-ო.

## მებრძოლები

დილით ყველაზე ადრე შურუპა ამდგარიყო და გაიძახოდა, მარტო წავალ ფრონტის ხაზის გარღვევაზეო. რა გვარია შურუპა-მეთქი, ვკითხე ვახოს. ლურსმანაშვილიო, მიპასუხა. ლურსმანაშვილი ყოფილა და კიდევ შურუპა უნდოდა მეტსახელად-მეთქი. ლურსმანაშვილი როა, შურუპა იმიტომ დავარქვითო.

იმ დილით „სუებმა" გადაგვიფრინეს. ყველაფერი შეაზანზარეს, დაბალ სიმაღლეზე იყვნენ. რადგან ასე დაბლა დაფრინავდნენ და რადგან არ დაგვბომბეს, ჩვენები უნდა ყოფილიყვნენ. ვიფიქრეთ, რომ რაიმე ოპერაციას ჩაატარებდნენ, მაგრამ სამიოდე წუთში უკან დაბრუნდნენ და ისევ ყველაფერი შეაზანზარეს.

— „სუებზე" და „გრადზე" ტანში მაზრიალებს ბიჭო, — ამბობს გენერალი. (გენერალი მეტსახელია) გენერალი ქუთაისელია და ხშირად ხუმრობს-ხოლმე.

— ტანში მაზრიალებს, ბიჭო, ტანში. დანარჩენი, რაზეც გინდა მიმიშვი. ვხუმრობ ბიჭო, თუ გინდათ, „გრადზე" და „სუებზეც" მიმიშვით, — ამბობს გენერალი და სქელი ტანი სელაპივით უთახთახებს.

იმ დილით კიტოვანი დავინახე. კარგად შეიარაღებული ათი-თხუთმეტი დამცველი მიყვებოდა. იმ ბიჭის ნაამბობი გამახსენდა, თხუთმეტნი რომ გაუშვეს შეტევაზე. მგონი ეს ის დღე იყო, სახელმწიფოს მეთაური ფრონტის ხაზზე რომ გავიდა.

რაღაც უზარმაზარი შენობის აოხრებულ ოთახში ვიყავით შეხიზნული. ოჩამჩირეში თითქმის ყველა შენობა აოხრებულია ბიბლიოთეკის გარდა. ოთახში ლევანი იყო მარტო დარჩენილი. ვკითხე, ის რა იარაღი ... ჩვენები კინდღთან რომ ისროდნენ-მეთქი. არ ... მეც შენსავით პირველად ვარ ომში, ძმა მომიკლეს აქ, დედაჩემს ჩემს მეტი აღარავინ ყავს, მოვატყუე, მარნეულში მივდივარ-მეთქი და აქ წამოვედიო. ორი ჭიქის სამყოფი ყავა ჰქონდა წამოღებული. სანაპიროზე რატომღაც კაფე მუშაობდა. იქ მოვახარშინეთ ყავა და მე, გოგამ და ლევანმა სამ ჭიქაში დავასხმევინეთ.

— ჩვენი ბიჭები გველოდებიან სოხუმში, — ამბობდა სვანი. სვანი გურიაში იყო გადასახლებული, მაგრამ მაინც სვანს ეძახდნენ, იქნებ იმიტომაც ეძახდნენ სვანს. — ძმები გველოდებიან სოხუმში, — გაიძახოდა.

— შეიძლება უაზრობაა და ჩვენ ძმებს კი არა უაზრობას შევეწიროთ, ფრონტის ხაზის გარღვევაზე ჩვენ თვითონ რომ წავიდეთ, მაგრამ ძმების გულისთვის უაზრობასაც შეიძლება შეეწირო.

ნერვიულობდა ჩვენი მეთაური მერაბ ლაშხი.

— მარტო ავტომატებით ფრონტის ხაზს ვერ გავარღვევთ, ამათ ხელში კი (ასახელებს ერთ-ერთ გენერალს) მე ვერ ჩაგაგდებთ. ხომ ხედავთ, რაც ხდება. თუ ვინმე აიღებს პასუხისმგებლობას, ოცდამეთხე ჯარისკაცი ვიქნები და წავიდეთ გარღვევაზე. ვაჟა, აიღე პასუხისმგებლობა!

ვაჟა ჩუმადაა და ვახო ხუმრობს, რომ სიტუაცია განიმუხტოს.

მე არასოდეს მინახავს, ასეთ მკაცრ პირობებში ერთად მყოფ ოცდაოთხ კაცს შორის ასეთი თბილი, მოზომილი, ოჯახური ურთიერთობა ყოფილიყოს. ეს ოცდაოთხი კაცი მზად იყო სოხუმის დამცველთა რიგებში ჩასადგომად, მაგრამ...

**P.S.** მხოლოდ დაზვერვაზე წასულმა ჩვენმა ორმა მებრძოლმა მოახერხა შეერთებოდა გენერალ ყარყარაშვილს, რომელმაც, როგორც ამბობენ, სამოცი კაცით გამოარღვია ალყა ოჩამჩირის მიმართულებით და ისევ უკან დაბრუნდა.

მე ზუგდიდისკენ გავეშურე გამსახურდიასთან შეხვედრის იმედით და ბიჭებს შევპირდი რომ დავბრუნდებოდი. მეგონა, რომ ჩვენ სოხუმშიც ერთად ვიქნებოდით.

## გამსახურდია ზუგდიდშია ანუ ჩიტი ბუდეს იშენებს

სადგურ ინგირში გამსახურდიას მებაჟეებთან, დამცველებთან თუ რაღაც ამდაგვარებთან ნაკლებად სასიამოვნო შელაპარაკების შემდეგ შესაძლებლობა მომეცა ინგირიდან ფეხით დავყოლოდი ზუგდიდისკენ მიმავალ გზას. ... სექტემბერს 2 საათზე ზუგდიდში გამსახურდიას მიტინგი იყო დანიშნული, მაგრამ სარკინიგზო ავარიისა და ზემოთ აღნიშნული სამხედროების წყალობით, ვიცოდი, რომ მიტინგის დასკვნით ნაწილსაც კი ვერ მივუსწრებდი. ზუგდიდში რომ შევედი, გზაზე უკვე მიტინგიდან შინისაკენ მიმავალი ხალხი შემომხვდა. გამსახურდიას რეზიდენციასთან კი რამდენიმე კაცი კიდევ ტრიალებდა. კითხვა-კითხვით ერთობ საინტერესო სახელწოდების კაბინეტში მოვხვდი. ეს გახლდათ „საქართველოს საინფორმაციო სამსახური". ვიფიქრე, რომ ასეთი სახელწოდების მქონე კაბინეტში უამრავი ინფორმაცია უნდა ყოფილიყო თავმოყრილი, მაგრამ აქ შეყრილმა ჟურნალისტმა ქალ-ვაჟებმა ქოქოლასთან ერთად იმდენი კითხვები და ისეთი უცნაური კითხვები დამაყარეს, აღარ ვიცოდი რა მეფიქრა ამ საპატივცემულო სახელწოდების გამო. კითხვები კი, გამოგიტყდებით, იმდენად „მრავალფეროვანი" და „ღრმააზროვანი" იყო, პასუხის გაცემა ალბათ ყოველ ნორმალურ ადამიანს გაუჭირდებოდა. აი, თუნდაც ერთ-ერთი მათგანი — რატომ ჩადგა მხედრიონის სამხედრო შენაერთები სამტრედიასთან და რატომ არ წავიდნენ ისინი საომრად აფხაზეთში? (თითქოს არ იცოდნენ რომ მხედრიონელები სოხუმში მტერს აკვდებოდნენ).

უდიდესი სურვილი მქონდა ინტერვიუ მეღო იმ კაცისაგან, ვინც იდე-ფიქსად ქცეული თანამდებობის გამო არცერთ ამღვრეულ სიტუაციას ხელიდან არ უშვებს, რომ თავისი „წმინდა ღვაწლი" შესთავაზოს თავის ერს. მაგრამ ამ ღირსშესანიშნავ კაბინეტში მითხრეს, (სიტყვა-სიტყვით) პრეზიდენტი ერთი საათია მიუნხენის ხაზზეა გასული-ო. რაღა დამრჩენოდა, თბილისის მატარებლისთვის უნდა მიმესწრო. გამომაცილეს და დამპირდნენ, თან დამაბარეს, მალე ჩამოვალთ თბილისში-ო. იგივე აღმითქვა იქვე, გამსახურდიას რეზიდენციასთან ახლოს ერთ-ერთმა სამხედრო მოღვაწემ, როცა ჩემი თბილისელობა შეიტყო. თუმცა იგი იშვიათი გამონაკლისი იყო იმ თვალსაზრისით, რომ აგრესიული არ ყოფილა.

გზაზე ვფიქრობდი, იქნებ ამ ხალხს რაღაც ფსიქიატრიული ავტონომია გამოვუყოთ. ან, თუ ეს სახელწოდება არ მოეწონებათ, დავარქვათ საპრეზიდენტო ავტონომია, დავარქვათ წმინდა ზვიადის სახელმწიფო, რაც ნებავთ...

და კიდევ, ინგირის სადგურში შევიტყვე, რომ „ზუგდიდი წმინდა ქალაქად გამოუცხადებიათ. „პრეზიდენტი" მიტინგის დროს მდგარა დიდი ჯვრის ფონზე, რომელსაც ეწერა — „ზუგდიდი წმინდა ქალაქია." დიდი ჯვარი ალბათ ჩინეთში მოენატრა „პრეზიდენტს", ხოლო რაც შ... წარწერას, ღმერთი, რჯული, ბეთლემის, იერუსალიმის, თუნდაც მექის, არ შეშურებია ჩვენში არავის, საკუთარ წმინდა ქალაქზე როგორღა ვიტყვით უარს.

# სოხუმი ღალატმა წააგია

**ბატონი ტარიელ დუდაური სახალხო ფრონტის წევრია მისი დაარსებიდან. საქართველოსათვის მძიმე წუთებში იარაღით ხელში იცავდა და იცავს მის ინტერესებს. ახლაც სოხუმში ახლდა ბატონ ნოდარ ნათაძეს. უცვლელად გთავაზობთ მის საუბარს.**

18 სექტემბერს შინაგან საქმეთა სამინისტროს საჯარისო ნაწილებთან ერთად ჩავედით სოხუმში. მე და ბატონი ნოდარი მინისტრთა საბჭოს შენობაში მივედით. იქ მეორე დღეს ეროვნული უშიშროების საბჭოს სხდომა უნდა ჩატარებულიყო. იმ საღამოს იქ დაგვხვდნენ ბატონები გენო კალანდია, გურამ ფანჯიკიძე და ფრიდონ საყვარელიძე. იმ დროისათვის სიტუაცია მაინცდამაინც დაძაბული არ ყოფილა. 19 სექტემბერს ბატონ ედუარდ შევარდნაძესთან შეხვედრის დროს ბატონმა ნოდარმა დააყენა საკითხი, მოსახლეობის უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით მოგვეხდინა მათი ევაკუაცია. მაგრამ უარყოფითი პასუხი მიიღო სახელმწიფოს მეთაურისაგან — ამის საჭიროება არ არისო. იმ დროისათვის ეს ასეც იყო. შემართება გვქონდა ისეთი, ფსოუმდე თუ არა, ახალ ათონამდე მაინც გავხსულიყავით და იქიდან არტილერიის ცეცხლით გვეჩვენებინა გუდაუთელი არამზადებისათვის რა არის დაბომბვა. ასეთი აზრი იყო როგორც სახელმწიფო მეთაურის მხრიდან, ისე მოსახლეობაში და ჯარშიც. პირველი დღეები გვიწევდა მინისტრთა საბჭოში ყოფნა. აქ გავხდი მოწმე ადგილობრივი ბიზნესმენის ვინმე ნუგზარ გოგიას არაერთგზის საუბრისა ლოთი ქობალიასთან და აკაკი ელიავასთან. დღეში 5-ჯერ, 10-ჯერ ტელეფონით სთხოვდნენ მათ ჩამოსულიყვნენ და მხარში ამოსდგომოდნენ სოხუმის მოსახლეობას, რომელთა უმეტესობა მეგრელია. მათი ჩამოსვლა სასიკეთოდ იმოქმედებდა ჯარზეც, რომელიც ტექნიკის მწვავე ნაკლებობას განიცდიდა. ხვეწნა-მუდარის ეს პროცესი 10 დღეს გაგრძელდა. ისინი ხან საწვავის უქმარისობას იმიზეზებდნენ, ხან სხვა რამეს.

თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენლებს, ჩვენს გენერალიტეტს არავითარი შეშფოთება, პანიკა, დაბნეულობა არ ეჩნეოდათ. ყველაფერი კარგად იყო. ასევე უშიშროების სამსახურის უფროსს, ბათიაშვილს, რომლის მონაცემებიდანაც ჩანდა, რომ გვიტევდა 600-მდე კაცი და მათი მოგერიება ჩვენთვის პრობლემას არ წარმოადგენდა.

21 სექტემბერს გავედით პოზიციაზე. ბატალიონ „თბილისის" (მეთაური თემურ ბურჭულაძე, მოადგილე ამირან დავითაშვილი) 12 კაციანი ჯგუფით მივედით. ეს იყო ფილიას ქუჩის ბოლო, რკინიგზის სადგურიდან სამიოდე კილომეტრზე, სომხურ დასახლებაში, სასაფლაოებთან. აქ მივიღეთ ბრძოლა. მოსახლეობაში საშინელი პანიკა იყო, ასევე ადგილობრივ მებრძოლებშიც. ჩვენთან ერთად იყვნენ სამხედრო პოლიციის ქვეგანაყოფი, რუსთავის ბატალიონი, რომელიც საგრძნობლად შეთხელებული იყო. დავბანაკდით რაღაც სამედიცინო საწყობის შენობაში. სასაფლაოს მეორე მხარეს, მაღლობზე იდგა სკოლის ორსართულიანი შენობა. ეს სტრატეგიული მნიშვნელობის ადგილი იყო. აქედან ხელის გულივით ჩანდა სოფელი აჩადარა. ეს სკოლა უნდა დაგვეკავებინა და შეგვენარჩუნებინა. დაზვერვის ჯგუფმა ერთი მებრძოლი დაკარგა, ეროვნებით ქურთი, ექვსი შვილის მამა. აღმოჩნდა რომ სკოლაში მოწინააღმდეგე არ იყო და იგი ჩვენ დავიკავეთ. ჩემთვის დღესაც გაუგებარია, ვინ იყო ამ პოზიციების ხელმძღვანელი, სად იყო ფრონტის ხაზი, ვინ იცავდა ფლანგებს და საერთოდ ისეთი შთაბეჭდილება მრჩებოდა, რომ შტაბში არ ჰქონდათ სრული სურათი იმისა თუ რა ხდებოდა ფრონტის ხაზზე.

სკოლაში შესვლიდან ნახევარი საათის შემდეგ ჩვენს გასწვრივ პოზიცია დაიკავეს ადგილობრივმა მებრძოლებმა, უფრო ქვემოთ რუსთავის ბატალიონი დადგა, მარცხენა ფლანგიდან სამხედრო პოლიცია გვიცავდა. ბატონი ნოდარ ნათაძე და ბატალიონის მეთაური შტაბში წამოვიდნენ, სიტუაციაში გასარკვევად, საბრძოლო მასალის, შესახვევი და სამკურნალო საშუალებების მოსატანად. მათი წამოსვლიდან ნახევარი საათის შემდეგ მოვიდა ორი წვეამდელი დმანისის ბატალიონიდან. ამ დროს მოხდა გასროლა. ერთი მათგანი დაიჭრა და შემდეგ გარდაიცვალა. იგი თბილისელი ემზარ მუჯირიშვილი აღმოჩნდა. საინტერესოა ის ფაქტი, რომ დაღუპული იდგა იქ, სადაც წუთების წინ იმყოფებოდა ბატონი ნოდარი. სროლას ამ მიმართულებიდან არ ველოდით. მაგრამ იძულებული გავხდით ცეცხლი გაგვეხსნა. პასუხი არ მიგვიღია. საკმაო ხნის შემდეგ კი გაგვიხსნეს ინტენსიური ცეცხლი. გვესროდნენ სომხური დასახლებიდან. ორი სხვადასხვა მხრიდან ამუშავდა სნაიპერები. ერთი სნაიპერი და რამოდენიმე მეავტომატე მოვსპეთ, რასაც მოჰყვა სკოლის შენობის ინტენსიური დაბომბვა ნაღმტყორცნებითა და ყუმბარმტყორცნებით. ნაგებობა სუსტი გამოდგა და ნანგრევები თავს გვაცვიოდა. გახურებულ ბრძოლაში ჩვენთან მოვიდა ტანკი ადგილობრივი მებრძოლებით, რომელმაც მოახდინა 5 უმიზნო გასროლა. სად დაეცა ეს ჭურვები, გაურკვეველია, სამაგიეროდ მოწინააღმდეგემ მშვენივრად გაარკვია ტანკის ადგილსამყოფელი და სოფელ აჩადარიდან „პტურსით" ააფეთქა იგი. ორი ტანკისტი დაიღუპა, ერთი დაიჭრა, ერთმა კონტუზია მიიღო. რამოდენიმე ხანში დაჭრილის ამოსაყვანად ტანკს მიუახლოვდა თბილისელი მებრძოლი, მაგრამ ნაღმტყორცნებიდან ცეცხლი გაგვიხსნეს და ეს არ მოხერხდა. ყველაფრიდან სჩანდა რომ გვითვალთვალებდნენ. ამ დროს ბატონი ნოდარ ნათაძეც და თბილისელთა მეთაური დაბრუნდნენ, თან ათიოდე კაცი მოიყვანეს.

გავიდა ერთ საათზე მეტი, მეორე სართულიდან ჩამოგვძახეს, რომ მტერი ამოძრავდა. დავიკავეთ საცეცხლე პოზიციები. ამ ბრძოლაში ბატონი ნოდარი ყველაზე სახიფათო ადგილას დადგა, სკოლის მონგრეულ მხარეს. იმ დღე[illegible] სკოლის შენობას მოხვდა ორ[illegible] [illegible]ვი. გაირკვა რომ მარჯვენა [illegible]ზე რუსთავის ბატალიონმა [illegible] დაიხია და ჩვენ თითქმის მა[illegible] ვიყავით. შებინდების ხანს დავიწყეთ გამოსვლა. პირველ ჯგუფთან ერთად გამოვიდა ბატონი ნოდა[illegible] და სწორედ იმ ადგილს, სადაც იგი წუთების წინ იყო, ზედიზედ ესროლეს სამი ჭურვი.

მთელი ეს მხარე ჩამოინგრა. რომ არ გვეძალავა და ბატონი ნოდარი არ გამოგვეყვანა, იგი დაიღუპებოდა. როდესაც მეორე ჯგუფმა დაიწყო გამოსვლა, სომხური სახლების მხრიდან გაგვიხსნეს ინტენსიური ცეცხლი, კიდევ ორი კაცი დავკარგეთ დაჭრილების სახით. უკვე შებინდებულზე ამ საწყობზეც მოხდა რამოდენიმე გასროლა. მოიხსნა სამხედრო პოლიციაც მარცხენა ფლანგიდან. რადგან მათი მიმართულებით მუშაობდა ე. წ. აგეეხი და ყუმბარმტყორცნების საკმაოდ დიდი ჯგუფი. რუსთავის ბატალიონიდან 7 კაციღა გადარჩენილიყო და ისინი ჩვენ შემოგვიერთდნენ. მეთაურებმა მოითათბირეს, პოზიცია დილამდე შეგვენარჩუნებინა და დილით შეტევაზე გადავსულიყავით. დაღუპულები და დაჭრილები ტანკიდან ამოვიყვანეთ. ტანკი ავაფეთქეთ, რომ მტერს არ ჩავარდნოდა ხელში.

მეორე დღეს ისევ ბრძოლები, ისევ ქაოსი. მეთაური ითხოვდა დახმარებას, წამალს დაჭრილებისათვის, საჭმელს, მაგრამ ცარიელი დაპირებების გარდა არაფერი იყო. იქ არავინ არ მოსულა და მეორე ღამეს იძულებული გავხდით ეს პოზიციაც დაგვეთმო, დაგვეხია სადგურის მიმართულებით. როგორც მეთაურმა გვითხრა, ეს შეთანხმებული იყო შტაბთან. ამასობაში მაიაკში, ახალ დასახლებაში გამძაფრდა ბრძოლები. ფრონტის ხაზი ქალაქის ცენტრს უახლოვდებოდა. გააფთრებული ბრძოლები მიმდინარეობდა სოხუმის ზედა მხარეს ანძასთან, მაიმუნების სანაშენესთან, ძიძარიასა და ყაზბეგის ქუჩების მიმართულებით. იმ დროისათვის ბატონი ნოდარ ნათაძე მინისტრთა საბჭოში იმყოფებოდა, იქაც მორიგეობა იყო საჭირო და მეც თან ვახლდი.

მინდა აღვნიშნო აფხაზეთის ზოგიერთი მინისტრის ძალიან ინერტიული დამოკიდებულება საქმისადმი. მწამს, ზოგიერთ მათგანს ურთიერთობა ჰქონდა გუდაუთის დაჯგუფებასთან. ეს ხალხი არ ერიდებოდა შევარდნაძისათვის ეთქვა, რომ სასწრაფოდ გამოეცხადებინა კაპიტულაცია და მიეღო ეხენგეში შესვლის გადაწყვეტილება. ისინი ამაზე მკვახე უარყოფით პასუხს ღებულობდნენ. მინდა გავიხსენო ერთი მომენტი. ვესტიბიულში ედუარდ შევარდნაძესთან ვიდექით. ამ დროს დაიწყო ქალაქის ინტენსიური დაბომბვა. და ბატონმა ედუარდმა სთქვა: „რაოდენ უგუნური უნდა იყო, იცოდე, ქალაქს ვერ აიღებ და მაინც ბომბავდე". აქედან სჩანს რომ მას დიდი იმედი ჰქონდა, რაც გარკვეულ წილად იმ ინფორმაციას ემყარებოდა, რომელსაც აწვდიდნენ. ის რომ მშვიდობიანი მოსახლეობის ევაკუირება დროულად არ გადაწყდა, ალბათ ამ არასწორი ინფორმაციების მიზეზითაც მოხდა. იმ პერიოდისათვის დაკარგული იყო 5 თვითმფრინავი, იბომბებოდა ბომბორას აეროდრომი, ზღვას აკონტროლებდნენ აფხაზები. მდგომარეობა დღითიდღე უარესდებოდა. ქალაქი პანიკამ მოიცვა, რომელსაც ალვივებდნენ შემოგზავნილი პროვოკატორები. მათ მშვენიერი დასაყრდენი ჰქონდათ იქ დარჩენილი აფხაზების, რუსების, სომხებისა და ზუგდიდელების ნაწილში. უნდა ითქვას, რომ თავიანთი ამოცანა მათ ბრწყინვალედ შეასრულეს. ამ პანიკაში, როდესაც ხდებოდა პოზიციების დათმობა და ხშირად უკან დახეული ჯარისკაცები მოსახლეობას ასწრებდნენ, დიდი ვაჟკაცობა გამოიჩინა ბატონმა ჯაბა იოსელიანმა. იგი ახერხებდა სასწრაფოდ მოეკრიფა მებრძოლების ჯგუფები და ცხელ წერტილებში გადაესროლა ისინი. ამან ბევრ ადამიანს შეუნარჩუნა სიცოცხლე. ერთი ასეთი სიტუაციის დროს ბატონმა ჯაბამ სთხოვა ბატონ ნოდარ ნათაძეს წასულიყო შტაბში და თავისი ავტორიტეტის ზეგავლენით მოეძებნა მეგზური მებრძოლთა ჯგუფის პოზიციაზე გასაცილებლად. თვითონ არანაკლებ საშიშ უბანზე წავიდა.

წავედით შტაბში, გენერალმა უჩაძემ განაცხადა თანხმობა აეღო თავის თავზე ამ ამოცანის შესრულება. ამ არეულობაში დავცილდი ბატონ ნოდარს. იგი მანქანით წასულიყო პოზიციაზე. მე ფეხით მომიწია დადევნება. კასპის ბატალიონის მეთაურისგან ტარიელ შარიფაშვილისგან, რომელიც შემდეგ გმირულად დაიღუპა, შევიტყე რომ ბატონი ნოდარი ყველაზე ცხელ წერტილში სადგურთან იბრძოდა. ასე სირბილში და მის ძებნაში საკმაო დრო გავიდა. აღმოჩნდა რომ იგი დაჭრილიყო ნამსხვრევებით, ორივე ხელში და ფეხში. დაჭრილი იყო ყველა მეთაური მათ შორის სადესანტოსაიერიშო ბატალიონის მეთაური ლევან ასათიანიც. ბატონ ნოდართან ერთად იბრძოდა გომბორის ბატალიონი ოთარ ჩუთლაშვილის და გოგი დავითურის ხელმძღვანელობით. ბატონ ნოდარს მოგვიანებით შევხვდი, როცა ჭრილობები უკვე მოვლილი ჰქონდა, მაგრამ იგი განიცდიდა არა თავის ჭრილობებს, არამედ იმ განუკითხაობას, ქაოსს, რაც იქ სუფევდა. მებრძოლები საშინლად გადაიღალნენ. იყო შიმშილი, სიცივე და რაც ყველაზე უარესია აბსოლუტური ქაოსი. კოდორის მხრიდან მაშველი ძალა ვერ შემოდიოდა. გენერალ ყურაშვილის მებრძოლები ახალდაბასთან მიწაში ჩაფლულ მტრის ტანკებსა და მტკიცედ გამაგრებულ ზღუდეებს ასკდებოდნენ. თუმცა 25 რიცხვში გენერალმა გია ყარყარაშვილმა შესძლო გაერღვია ბლოკადა ზღვის ნაპირზე და 280 კაცი შემოიყვანა. იყო ოთხი ერთეული საბრძოლო ტექნიკაც. მდგომარეობა კი სულ უფრო და უფრო რთულდებოდა. პანიკამ კულმინაციას მიაღწია. ამ დროს მივიღეთ ინფორმაცია, რომ წითელ ხიდს მტერი აკონტროლებს და რომ კელასურის მხრიდან მტრის 13 ტანკი გვიტევს. თუ ეს მეორე რკალიც შეიკვრებოდა, სოხუმიდან ამბის წამღები ვერ გამოასწრებდა, მაგრამ ივაჟკაცეს კარლენ კალანდაძის მენაღმეებმა. მათ მიერ ოსტატურად დაგებულ სანაღმე ველზე მტრის ტანკები აფეთქდნენ. დანარჩენებმა ველარ გამობედეს გამოსვლა. 27 სექტემბეს კელასურიდან დაიწყო გამოსვლა. მე იქ ვალერი ქვარაიას გარდა არავინ მინახია, აღარცერთი გენერალი არ ჩანდა. დავიხიეთ სოფელ მაჭარის მიმართულებით, იქიდან კი წებელდისაკენ წავედით. მოდიოდა ხალხისა და მებრძოლების ნაკადი. წებელდაში საღამოს პირას ავედით და იქიდან ვუყურებდით აფხაზების ტრიუმფს. წებელდაში ლტოლვილმა ქალებმა, რომლებსაც მართლაც რომ ძალიან უჭირდათ, დაგვატუქსეს. ისინი საკმაოდ ცუდად მოიქცნენ, მათი პრეტენზიები ბატონი ნოდარ ნათაძის მიმართ უსაფუძვლო იყო. გამწარებულმა ხალხმა ბოლომ სრულიად უდანაშაულო კაცზე გადმოანთხია, აგრესატები კი ხვებო უნდა ყოფილიყვნენ. საკმაოდ კარგად მეშმობდა ექსპრეზიდენტის დროს დაგდებული ხმა, რომ ნოდარ ნათაძე უოჯახოა და არაფრის დარდი არ აწუხებს. არადა მას მშვენიერი ქართული ოჯახი აქვს და ორ ვაჟკაცსაც უზრდის სამშობლოს. წებელდაში ვნახეთ სოფლის გამგებელი, ადგილობრივი ბატალიონის მეთაური, რომლებიც იარაღს ართმევდნენ ხალხს, რათა ღელის ხეობა ჩაეკეტათ. იარაღს ნებით არავინ იძლეოდა, მაგრამ ბატონი ნოდარის ავტორიტეტმა გაჭრა. ბევრი იარაღიც დარჩა და ბევრი იარაღიანიც. პირადად ბატონმა ნოდარმაც დასტოვა თავისი ავტომატი. მოვახდინეთ ორგანიზება რომ ხალხი ამ 120 კილომეტრიანი გზით სვანეთისაკენ გადმოსულიყო. შემდეგ კი აფხაზეთის უზენაესი საბჭოს დეპუტატს ჟიულ ახვლედიანის (?) ...

როვას, და რუსუდან ქორჩილა
მოთხოვნით წამოვედით სვანეთ
ჭუბერის უღელტეხილისკენ. რ
იქიდან თბილისში წამოსული
ვით და ლტოლვილების დასახ
დრად საჭირო ღონისძიებები
ვეგეგმა. სოფელ საკენამდე მა
ნით მოვედით. აქედან იწყ
ჭუბერის თითქმის 3 000 მეტ
სიმაღლის უღელტეხილი. აქ მ
ქანამ ველარ შესძლო ამოსვ
იქვე მომუშავე სვანმა მეტყე
ბმა კი უარი გვითხრეს ტრაქ
რის თხოვნაზე. ეს ხდება
სექტემბერს. ფეხით გადმოვე
უღელტეხილზე, რომლის სიგ
45 კილომეტრია. მოდიოდ
3—4 წლის ბავშვები, ფეხმძ
ქალები, ერთი მათგანი, რომ
მაც ტყუპი ბავშვი დაბადა,
დაიღუპა, ბავშვებთან ერთ
მოდიოდნენ იმ იმედით,
სვანეთში მათ შველა დახვდე
დათ და ესეც მოხდა. ჭუბე
არ დარჩა არცერთი ოჯ
რომელმაც 20 სულზე ნაკლ
შეიფარა. უკანასკნელი ლუ
გაუყვეს ხალხს. მაგრამ
საშინელი ფაქტებიც. ვიღაც
მზადები უღელტეხილის ორ
მხარეს იარაღს ართმევდ
ხალხს, ძარცვავდნენ მათ.
დღე ჭუბერში დავყავით.
დაგვხვდა მთავრობის მიერ
ქმნილი შტაბი ბატონ ბო
სარალიძის, გაიოზ ნოზაძისა
მამუკა მინდელის ხელმძღ
ლობით. ჩვენ ჩავერთეთ
შტაბის მუშაობაში. მოხდა
ნების, ტრაქტორების, ვერტმ
ნების მობილიზაცია. შტაბმა
ლა ლონე იხმარა ხალხის
ველად, მაგრამ ამინდის გაუ
სებამ. დაამძიმა მდგომარე
არც მოსახლეობას აქვს პრო
ქტის დიდი მარაგი, ხოლო
მანიტარული დახმარება ზღ
წვეთია 50 000 კაცისათ
უამინდობისა და გადატვირ
ლობის გამო ჩამოვარდა ვერ
ფრენი.

დღეს მდგომარეობა ო
უკეთესია, მაგრამ მაინც
საქმეა გასაკეთებელი. ბატ
ნოდარ ნათაძე გეოლოგიის
მართველოში ახდენს მთამს
ლების მობილიზაციას, სხვა
სტრემალურ პირობებში მუ
ბის შემძლე ადამიანების
როვებას და აგზავნის მათ
ნეთში. სხვათაშორის, რომ
ქობალიას ხალხის მიერ ჯ
თან გზის გადაკეტვა, ლტო
ლთა მდგომარეობა უკეთეს
ნებოდა. ის 8 ავტობუსიც
რომლებითაც ლტოლვილები
გდიდის მიმართულებით წა
ნეს, უკან არავის დაუბრუ
სოხუმი ღალატმა წაა
ღალატმა რუსეთის მხრიდა
რაც ყველაზე ამაზრზენია,
გამცემთა მომრავლებამ.
გვებრძოდა მსოფლიოში ერ
თი უძლიერესი არმიის ე
რული ქვეგანაყოფები. ჩვენ
მელი, უსმელი, ჩაუცმელი
ბი, პირდაპირ ქუჩიდან
წაყიდნენ ფრონტზე, მაინც
ლაუდებოდნენ მათ, მაგრამ
ლეს ტექნიკასთან ცუდად
რაღებულნი, ბრწყინვალედ
გმილი ოპერაციების წინააღ
ქაოტურად მებრძოლნი ვერ
გახდნენ. ყოველი 10 მებრძ
დან 9 ნამსხვრევებით იყ
ჭრილი, ერთი სნაიპერის ტყ
ხოლო მტრის 10 მოკლ
ჯარისკაციდან ერთი ა
ფი, 5 რუსი, 2 სომეხ
ჩრდილოკავკასიელი.

ერთიც უნდა დავძინო.
ხუმში საინფორმაციო-სადაზ
ვო სამსახურის საშუალებით
ვისმინე საუბარი ზვიად
სურდიასა და გუდაუთელ
ერქვანთან. (არ ვიცი რამ
სწორად გავიგეთ გვარი)
სურდია ეუბნებოდა: „Поче
выполняется план" ერ
უპასუხა: „Я иду по план
ყურმილი დაუკიდა. აი
გეგმებით მოხდა ჩვენი დამ
ბა, მაგრამ შერჩებათ
ყველაფერი მტრებს? არა მ

ჩაიწერა მერაბ მაისურ

# უმეცრების თავშესაფარი

ზოგიერთი ყოველგვარ ტყუ-ს, ცილისწამებასა და შეურაცხ-ვას კადრულობს, რათა ამით აცას ასიამოვნოს და თვითონ ც შეიძლება თბილ სავარძელში კალათდეს. ამის ნათელი მაგა-თია გაზეთ „აჭარის" (13, 17, 20 და 27 აგვისტოს) გამოხ-რებები ჩემი წერილის — „ის-მის ზოგიერთი საკითხი თანამე-ოვე ეტაპზე და საქართველო" აქართველო", 6—12 აგვისტო) ო. მე, როგორც ისლამის პრო-ემების მკვლევარს ადრეც გამო-ვეყნებია ამის მსგავსი წერილე- მაგრამ მათ ასეთი დიდი ურადღება" არ დაუმსახურებიათ. აქ არა გვაქვს საშუალება ლა წერილს სათითაოდ გავცეთ უხი, ამიტომაც შემოვიფარგლე- ოპონენტების მიერ დაყენებუ- საკამათო პრობლემებით და დებით გავცეთ მათ პასუხი.

რაში არ მეთანხმებიან ოპო-ტები? მათგან ორს ეჭვის ქვეშ ყენებია ჩემი ვინაობაც კი. ისათვის (ა. ახვლედიანი) მე მე აბესალომ ასლანიძე" ვარ, ლო მეორის აზრით (ო. გვარი-ლი) ჩემს გვარს სხვა ვინმეა ფარებული. რამდენადაც ჩემთ- გახდა ცნობილი, გარკვეულ ებს ჩემს სახელში ფსევდონიმი უკითხავთ და ალბათ ეს გახდა ო წერილისადმი ზედმეტი ყურა-ების ნამდვილი მიზეზი.

მე თურმე, სათაურში სიტყვა ქართველოც" ემოციის გასაძლი-ბლად მიხმარია (ო. გვარიშვი-, ავტორთა კოლექტივი).

ოპონენტებში დიდი აღშფოთე- გამოუწვევია ჩემს აზრს იმის ახებ, რომ „ბევრ მკვლევარსა მეცნიერს კითხვაზე, თუ რა ოვნებისაა, აჭარაში მცხოვრები უცებისაგან პასუხად მიუღია — ლიმანიო. ეროვნების ასეთ გა-ას მთლიანად გაუნათლებლობას დავაბრალებთ. ასეთი პასუხის უქმლოება თვით ისლამში იმა- და მსგავსი პასუხის გაცემა ძლიათ თურქეთში, ირანში, სა-ს არაბეთში თუ სხვა მუსლი-ურ ქვეყანაში". ოპონენტები ჩე- მოსაზრების მხოლოდ პირველ ილს იმოწმებენ და ჩემს მიერ გასმული ნაწილის ციტირებას ახდენენ და საკუთარი მცდარი ერპრეტაციით მკითხველი შეგ-ულად შეჰყავთ შეცდომაში. ასე ლითად ბ-ნი ოსიკო გვარიშვი- ამის თაობაზე ასეთ ინტერპ-ტაციას სთავაზობს მკითხველს: მე ასეთი პასუხის საიდუმლო- ახსნა და პასუხის გაცემა ძლიათ თურქეთში, ირანში, სა-ს არაბეთში თუ სხვა მუსლი-ურ ქვეყანაში. ღირს კი მკითხ-ო ასეთ ოპონენტთან კამათი?!

არადა საკმარისია უბრალოდ ლის გადავლება ყურანის სუ-ისა (მაგ. 12,2; 13,37; 42,5; 0; 49,15 და სხვა.), საიდანაც დარწმუნდები, რომ აქ ეროვნული განსხვავებულობა* დავიწყებულია და სადაც ალარაფერი იქნება.

ჩემი ოპონენტები თურქეთთან კეთილმეზობლური ურთიერთობის დამყარების მოწინააღმდეგედ მსახავენ, თუმცა ამისათვის ვერ იმოწმებენ რაიმე აზრს ჩემი წერილიდან (რაც არაა, როგორ დაიმოწმებდნენ!).

სინამდვილეში ჩვენ კეთილმეზობლური ურთიერთობის მოწინააღმდეგე კი არა ვართ, არამედ მოვითხოვთ ანგარიში გაეწიოს საერთო ვითარებას. კერძოდ: თურქეთში, თანამედროვე ეტაპზე მიმდინარეობს თითქმის ყველა სფეროს ისლამიზაცია, იმის მიუხედავად, რომ ხელისუფლება სეკულარისტულ პოლიტიკას ადგას. სწორედ ისლამიზაციის გამო უნდა იყოს, რომ თურქი „მისიონერები" ხშირად მოგზაურობენ აჭარაში და საეჭვო პროპაგანდას ეწევიან აქ. ყოველივე ეს შეიძლება ცალკეული პიროვნებებისა და პარტიების ინტერესებს ემსახურებოდეს და არაფერ შუაში იყოს თურქეთის ხელისუფლება. მაგრამ ჩვენი მხრიდან ამ მოვლენებზე ყურადღების .გამახვილება არაა საჭირო? ამის თქმა მინდოდა ბატონებო და არა იმისა, რაც თქვენ ამოიკითხეთ და დემაგოგიურად წარუდგინეთ „აჭარის" მკითხველებს.

როდესაც მე ვწერდი, რომ მოხუც მუსლიმანებში რელიგია და ეროვნება გაიგივებულია, ეს ოპონენტებმა დიდ შეურაცხყოფად მონათლეს. შეიძლება შკაცრად მაქვს ნათქვამი, მაგრამ ამაში შეურაცხმყოფელს ვერაფერს ვხედავთ. მოხუცების გარკვეულ ნაწილში ეს შეხედულება რომ არის, ეს სადაო არ უნდა იყოს საქმეში ჩახედულთათვის. მოსახლეობის უმრავლეს ნაწილში ეს საკითხი საერთოდ არ დგას — მათში რწმენისა და ეროვნების არავითარ აღრევას არა აქვს ადგილი. ბავშვებზე საუბარი აქ ზედმეტადაც მიგვაჩნია.

საგანგებოდ გვინდა შევჩერდეთ უცხოეთში მუსლიმანური სასულიერო განათლების მისაღებად წარგზავნილ ახალგაზრდებზე. საგანგებოდ შევხვედრივარ მათ და მისაუბრია კიდეც. როდესაც მათთვის დამისვამს კითხვა, ვის მხარეზე დადგებიან ისინი თუ რაიმე გამწვავება მოხდა თურქეთსა და საქართველოს შორის, მათი პასუხი ერთი იყო: „რა თქმა უნდა თურქეთისო, რადგანაც მათ გვასწავლეს ის რწმენა, რომლის მიხედვითაც ყველა მუსლიმანი ძმაა". აი ვისთვის და რისთვის გვჭირდება მაჰმადიანობასთან ურთიერთობის სახელმწიფო კონცეფცია!

წერილების ავტორები ჩემგან იცავენ ისლამს (საინტერესოა, სად ვებრძვი მე ისლამს). ერთ-ერთი მათგანი კი (ო. გვარიშვილი) შენიშნავს, რომ მე მუსლიმანი ოჯახიდან უნდა ვიყო და რატომ ვხსნი ასე თავისებურად ისლამის გავლენის სფეროს აჭარაში. ჯერ-ერთი, აქ ვერავითარ თავისებურ ახსნას ვერ ვხედავ და მეორეც: მე მართლაც და ქართველი მუსლიმანის ოჯახიდან ვარ, თანაც მუსლიმანური რწმენის აქტიურად მიმდევართა ოჯახიდან. თუმცა ამას ხელი არ შეუშლია ჩემი ბაბუასათვის, რომ ჩვენს სოფელში პირველად მის ოჯახში გადახდილიყო ქორწილი ღვინით. ბაბუაჩემი შესანიშნავად ფლობდა თურქულ ენას, წერდა, კითხულობდა და თარგმნიდა არაბულიდან. ასევე მამაჩემმაც იცოდა თურქული, წერდა და კითხულობდა. მიუხედავად ამისა, ჩვენი ქართველობა არავის დაუყენებია ეჭვს ქვეშ და არც არავის დაუშლია თავისუფალი აზროვნება.

ოპონენტები ჩემგან, გარდა ისლამისა. იცავენ აჭარის ხელისუფლებას და რატომღაც აჭარის ხელისუფლებას ბ-ნ ასლან აბაშიძესთან აიგივებენ. თუ ვინაა ბ-ნი ა. აბაშიძე, ძალიან კარგად ვიცი და ამ საქმეში ტყუილად ირჯებიან ჩემი ოპონენტები. ამასთან მინდა მივმართო ბ-ნ ა. აბაშიძეს იმასთან დაკავშირებით, რომ 3 სექტემბერს, როდესაც ის ბ-ნ ედუარდ შევარდნაძესთან ერთად გამოდიოდა ტელევიზიით, ჩემი წერილის მისამართით აღნიშნა: „ისეთი გაზეთი, რომელსაც „საქართველო" ჰქვია და წერს, რომ აჭარელი კაცისათვის უპირველესია რელიგია, ხოლო ეროვნება მეორეხარისხოვანიო, უნდა დაიხუროს".

ბატონო ასლან! თქვენ ალბათ ჩემი წერილი არ წაგიკითხავთ, თორემ მასში მსგავს ვერაფერს იპოვიდით. როგორც ჩანს შეცდომაში შეგიყვანეს თქვენმა მრჩევლებმა, რომლებმაც უბრალოდ სწორედ ვერ გაიგეს ჩემი ნათქვამი. სინამდვილეში, სადაც მე ვწერდი აქაური კაცის ცნობიერებაში ეროვნება რელიგიასთან შედარებით მეორეხარისხოვან მოვლენად იქცა-მეთქი, ეს სულაც არ ეხებოდა თანამედროვეობას. აქ საუბარი შეეხებოდა იმ დროს, როცა ჯერ თურქები, ხოლო შემდგომ რუსები თავს არ ზოგავდნენ აჭარაში ისლამის დასამკვიდრებლად. ასე რომ თქვენ შეცდომაში შეგიყვანეს ბ-ნო ასლან და ამის შემდეგ ღირს თუ არა ასეთი „იდეოლოგების" დარჩენა იდეოლოგებად, ამას თქვენ თვითონ გადაწყვეტთ უკეთ.

ცალკე მინდა გამოვყო ბ-ნი იური ბიბილეიშვილის პოლემიკური ხასიათის გამოხმაურება. მისი ექვსი შენიშვნიდან ვერც ერთს ვერ გავიზიარებ თუმცა მისაღებია მისი აზრი: რელიგიურ თემებზე მსჯელობა ყოველთვის დიდ რისკთანაა დაკავშირებული. დიახ, ბ-ნო იური, ბევრჯერ ისეთ საკითხებთანაც, რომელთა საჯაროდ თქმა გაუმართლებელია. სწორედ ამის გამო ბევრი ფაქტი არ დამიმოწმებია და არც ახლა ვიმოწმებ, რითაც ჩემი პოზიცია უფრო გამტკიცდებოდა.

ბ-ნო იური! თქვენი აღნიშვნით „საქართველოს ისტორია პრაქტიკულად არ იცნობს. რელიგიური ომის არცერთ ფაქტს". ომის რა მოგახსენოთ, მაგრამ ბრძოლები თუ გაინტერესებთ, მაშინ კიდევ ერთხელ გადახედეთ ე. წ. თურქი მესხების დეპორტაციასთან დაკავშირებულ საგაზეთო მასალებს და თქვენს სიტყვებს უკან წაიღებთ.

თქვენ უადგილოდ გვახსენებთ ილია ჭავჭავაძესა და იაკობ გოგებაშვილს. ხომ არ აჯობებდა მათი მიბაძვით ზოგიერთი არამკითხველისათვის წერა-კითხვის შემსწავლელი საზოგადოება ჩამოგვეყალიბებინა, რომლის თავშიც უპრიანი იქნებოდა ჩამდგარიყავით თქვენ, ბ-ნო იური, როგორც გამოცდილი პედაგოგი.

რას უნდა მიეწერს ბატონ ვიქტორ ლორთქიფანიძის წერილი („აჭარა", 27 აგვისტო), სადაც იგი გვამცნობს „რელიგიების შესწავლისა და აღორძინების საქართველოს საერთაშორისო ფონდის" პრეზენტაციის ამბავს: „ფონდი თავის ერთ-ერთ ამოცანად მიიჩნევს საქართველოში მოქმედ კონფესიათა შესწავლას მათთან თანამშრომლობის, მათ შორის კეთილმეგობრული ურთიერთობის დამყარებით, მოსახლეობის სწორი ინფორმირების გზით. ჩაატაროს ერთგვარი პროფილაქტიკური სამუშაო არასასურველი ეთნიკური და რელიგიური ექსცესების თავიდან ასაცილებლად და განურჩევლად ყველა რელიგიის მიმდევართათვის საქართველოს ინტერესების უზენაესობის აღიარებას".

ბ-ნო ვიქტორ! ყოველივე ამის შესახებ მე ვწერდი ჩემს წერილში და სწორედ ეს უნდა ჩაითვალოს ჩემი წერილის მთავარ იდეად და სწორედ ამის შესახებ წერს ავტორთა კოლექტივი (რომელ წერილსაც ეყრდნობით თქვენ), რომ „დღეს არც საქართველოს და არც აჭარის ხელისუფლებას არა აქვს დრო ამ პრობლემების გამო კონცეფციები შექმნას და სიმპოზიუმები ჩაატაროს". საინტერესოა თუ გაქვთ წაკითხული ჩემი წერილი, ბ-ნო ვიქტორ!

ამით ვამთავრებ ჩემს სათქმელს და რამდენადაც ბ-ნ ვ. ლორთქიფანიძის გარდა, ოპონენტთაგან არცერთს თავის წერილზე არ მიუწერია სამუშაო ადგილი, ინტერესს მოკლებული არ იქნება მათი უფრო ფართოდ წარდგენა მკიოხველისათვის:

1. ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი აზიზ ახვლედიანი — ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი („ეს ხომ მკრეხელობაა" „აჭარა", 13 აგვისტო).

2. დოც. იური ბიბილეიშვილი — გონიოს კოოპერაციული ინსტიტუტის პრორექტორი („პრინციპულად უნდა ითქვას", 17 აგვისტო).

3. საქართველოს დამსახურებული მასწავლებელი ოსიკო გვარიშვილი, რომელიც 13 აგვისტოს არჩეულ იქნა აჭარის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ („ქაღალდის ვეფხვი" ანუ საიდან ქრის ქარი", „აჭარა", 18 აგვისტო).

4. ავტორთა კოლექტივი — განათლების სისტემის დიდი თანამდებობის პირები — სულიკო ინაიშვილი, შოთა ჯიბლაძე, არჩილ იშხნელიძე („გაზვიადებული შიში ანუ ალოგიკური აზროვნება", „აჭარა", 18 აგვისტო).

5. ვიქტორ ლორთქიფანიძე — პარლამენტარი, აჭარის აღორძინების სრულიად საქართველოს კავშირის თავმჯდომარის პირველი მოადგილე („კაცი იყავ კაცური და...", „აჭარა", 27 აგვისტო).

წერილი შეგნებულად არ მიმიტანია გაზეთ „აჭარაში", რადგანაც ჩემს ოპონენტთაგან არცერთს არ უცდია გამოხმაურება წარედგინა გაზეთ „საქართველოში", სადაც გამოქვეყნდა ჩემი წერილი. ამასთან არავითარი სურვილი არა მაქვს ვითანამშრომლო გაზეთ „აჭარასთან", რომელიც დიდი ხანია უმეცრების თავშესაფრად იქცა.

აბესალომ ასლანიძე
გონიოს კოოპერაციული ინსტიტუტის ფილოსოფიის კათედრის მასწავლებელი.

## თანადგომა

ჩვენს თავს დატეხილი უბედურება, დაძაბული ყოფა აუარესებს ადამიანთა სულიერ მდგომარეობას. მოიმატა დეპრესიითა და ნევროზებით დაავადებულთა რიცხვმა, განსაკუთრებით ისეთმა შემთხვევებმა, როდესაც ფიზიკურად ჯანმრთელ ადამიანს აწუხებს ამა თუ იმ ორგანოს ფუნქციური აშლილობით გამოწვეული ნაირგვარი უსიამოვნო შეგრძნებები. ძალიან უჭირთ ფსიქიკური პათოლოგიის მქონე პირებსაც.

ჩვენს თანამემამულეებს მოვახსენებთ, რომ რამდენიმე წელია მოქმედებს მ. ასათიანის სახელობის ფსიქიატრიის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის საკონსულტაციო განყოფილება, სადაც უმაღლესი კატეგორიის ექიმები, მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატები, დოქტორები და პროფესორები მაღალკვალიფიციურ, მეცნიერულად აპრობირებულ და საერთაშორისო სამეცნიერო წრეებში მიღებულ ფსიქოთერაპიულ და ფსიქიატრიულ დახმარებას უწევენ მათ, ვინც ფსიქოლოგიურ დისკომფორტს განიცდის.

მკურნალობა, პაციენტის სურვილისამებრ, ანონიმური იქნება. ოფიციალური მომართვა საჭირო არ არის.

განყოფილების მისამართია: ქ. თბილისი, ასათიანის ქ. №10

ტელ: 39—49—27

აქვე შეგიძლიათ მოიკითხოთ ბროშურა „ფსიქიატრები გეხმარებიან", რომელიც ახლახან გამოიცა და დიდ დახმარებას გაუწევს დაინტერესებულ მკითხველებს.

საქართველოს ფსიქიკური ჯანმრთელობის ეროვნული ასოციაცია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჟიული შარტავა



„რასაც ხელს [illegible] დი, გულ[illegible]ებით და [illegible] დაუზოგავად ვემსახურებოდი." — ეს სიტყვები ბატონ ჟიული შარტავას ერთ-ერთი ინტერვიუდან ამოვილეთ.

ჟიული შარტავა .სწორედ ასეთი კაცი გახლდათ. უზარმაზარი ენერგიით სავსე, საქმისათვის თავშეწირული, ხალხის სამსახურისთვის დაბადებული.

ჯერ კიდევ კომუნისტური რეჟიმის დროს, როცა ნომენკლატურის მუშაკებზე ათასგვარი ხმები ისმოდა — ვინ რამდენს იღებს, ვინ რა სიღრმემდეა ჩაფლული კორუფციაში, ჟიული შარტავას დიდ პატიოსნებას მისი მტერი და მოყვარე ერთნაირად აღიარებდა.

ჟიული შარტავა გმირად ყოფილა დაბადებული. მისი ცხოვრების ბოლო დღეები და მისი ვაჟკაცური თავდადება, მისი მოწამეობრივი აღსასრული ზნეობრივ მაგალითად დარჩება ჩვენი ერის ისტორიაში.

პირსისხლიან არძინბას პირსისხლიანი და პირშავი პასტუხოვისთვის უთქვამს — შარტავა იმიტომ დავხვრიტეთ, აფხაზეთის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეობაზე რომ დათანხმდაო.

სულის ამოსვლის ბოლო წამს, დარწმუნებულნი ვართ, ჟიული შარტავას გაკვირვებული და გაოცებული მზერა შეეყინებოდა სივრცეს. იგი ხომ ქართველთა და აფხაზთა ძმობის აღსადგენად იღვწოდა. საზღაურად აფსუებისგან ტყვია მიიღო.

მისი სიკვდილი, მისი სიცოცხლის მხეცური ხელყოფა გაკვეთილად იქცევა ქართველი ერისათვის.

აფხაზები ქართველთა დაუძინებელი მტრები არიან.

სიკეთის ნაცვლად მტერთან ჩვენც სიკვდილი უნდა ვთესოთ. ვისაც ჩვენი პირისაგან მიწისა აღგვა სურს, თავადვე აღიგვება პირისაგან მიწისა.

ამას ითხოვს მხეცურად ნაწამებ უდანაშაულო ადამიანთა სულები. ჟიული შარტავას გმირულმა აღსასრულმა კი ჩვენ ერთ რამეზეც უნდა დაგვაფიქროს — დღეიდან უნდა დამთავრდეს ლაპარაკი კომუნისტურ და არაკომუნისტურ საქართველოზე, კომუნისტებზე და ანტიკომუნისტებზე, რადგან ყოფილმა კომუნისტმა დემეტრე თავდადებულის სული გვიჩვენა, ყოფილი ანტიკომუნისტი კი ალამაჰმადხანივით ექცევა საკუთარ ქვეყანას.

დღეიდან მხოლოდ მამულიშვილებზე და თავის ჭამს ჩამცქერალ ვირთაგვებზე შეიძლება ლაპარაკი.

ჟიული შარტავა დიდ ქართველ მამულიშვილთა გვერდით მოიხსენიება მარადის.

**გაზეთ „საქართველოს" რედაქცია**

# საქართველოს სახალხო ფრონტის მმართველი საბჭოს განცხადება

1993 წლის 20 სექტემბერს საქართველოს პარლამენტის სპიკერმა ვახტანგ გოგუაძემ რუსეთის ტელევიზიისათვის მიცემულ ინტერვიუში განაცხადა, რომ შექმნილი უმძიმესი მდგომარეობიდან ერთადერთი გამოსავალია საქართველოს შესვლა „სნგ"-ში. ხოლო შემდეგ იგივე აზრის ხალხისათვის თავს მოხვევას ეცადა მინისტრთა კაბინეტი. საქართველოს სახალხო ფრონტის მმართველი საბჭო პარლამენტის სპიკერისა და მინისტრთა კაბინეტის წევრების უმრავლესობის ამ პოლიტიკურ განცხადებას მიიჩნევს სახელმწიფო ინტერესების საზიანო ქმედებად. „სნგ"-ში შესვლა ჩვენი სახელმწიფოს საშინაო საქმეებში რუსეთის სამხედრო ჩარევის თავიდან აცილების არა თუ უვარგისი, არამედ მისთვის ხელების გახსნისა და უფრო ფართომასშტაბიანი ჩარევისათვის ხელშემწყობი საშუალება რომ იქნება, ნათლად ჩანს „სნგ"-ს წევრი სახელმწიფოების — მოლდოვასა და ტაჯიკეთის მაგალითიდანაც.

საქართველოს სახალხო ფრონტი მომხრეა რუსეთთან კეთილმეზობლური ურთიერთობის აღდგენისა, რაც მასთან თანასწორუფლებიანი, ურთიერთის საშინაო საქმეებში ნებისმიერი ფორმით ჩარევის გამომრიცხავი ხელშეკრულების დადებითა და მისი განუხრელი შესრულებით უნდა განახორციელოს.

სსფ მმართველი საბჭო გადაჭრით გმობს „სნგ"-ში საქართველოს გაწევრიანების იდეის შემოპარების პოლიტიკას, რაც ჩვენი სახელმწიფოს დამოუკიდებლობისათვის ძირის გამოთხრის ტოლფასია.

**1993 წლის 21 სექტემბერი**
**ქ. თბილისი**

# თქვენ დავიწყება არ გიწერიათ!

## პაატა (ჯანელა) ჯანელიძე
## ზურაბ (პუშკინა) ქუქჩიშვილი

ძნელია ახლა თქვენზე წერა ბიჭებო — პატარა „ღიმილის ბიჭებო". თქვენ ხომ ამქვეყნად მხოლოდ 16 წელი იცხოვრეთ. თქვენს სულში დიდი სიყვარულის ღვთაება სახლობდა.

რა დაუნდობელია ეს წუთისოფელი. ვინ იფიქრებდა, რომ თქვენი ცხოვრების დიდი გზა ასე მოკლე ხანში დასრულდებოდა.

იმ ავბედით დღეს — 23 სექტემბერს აფეთქებულ თვითმფრინავში აღმოჩნდით. თქვენი სული ზეცაში ამაღლდა, მაგრამ თქვენი სხეული ცეცხლის ალმა დაწვა. აფხაზეთისკენ მიგიწევდათ გული. თქვენ ხომ ერთმანეთის ახლო მეგობრები — ძმაკაცები იყავით. ძლიერნი, უდრეკნი და ამაყნი. აკი ღმერთმაც ერთად გარგუნათ სიკვდილი.



რა შემზარავი სიტყვაა სიკვდილი.

პაატა, შენ რომ მხედრიონში ჩაეწერე, ძალიან ინერვიულა შენმა დედიკომ. გითხრა, აგიხსნა ყოველივე, რომ შენ ომისთვის პატარა იყავი. შენ ხომ 17 წელი 25 ოქტომბერს გისრულდებოდა, ყველას პატარები გვეგონეთ, თურმე რამხელა ვაჟკაცები ყოფილხართ, გეხვეწებოდით, გთხოვდით, რომ არ წასულიყავით, მაგრამ დედაზე და ჩვენზე უფრო თქვენი საქართველო გყვარებიათ. თქვენი სამშობლო, სადაც ასე ცოტა ხანი იცხოვრეთ.

პაატა,როცა პირველად გნახე გვარდიის ფორმაში, ცოტა არ იყოს, გამიკვირდა. შენ მომასწარი: ქეთინო, აფხაზეთში მივდივარო. ძალიან მეწყინა, მაგრამ არ დაგიჯერე და გახუმრება ვცადე. ვინ გაგიშვებს ბიჭო აფხაზეთში-თქო. რატომ, სიმაღლე მიშლის ხელს თუ ძალა არ მერჩის მკლავშიო — მიპასუხე.

ცოტა ხნის შემდეგ გავიგე, რომ შენ და პუშკინა ერთად გაიპარეთ. სუყველა ვლოცულობდით, რომ ღმერთს მშვიდობით ჩამოეყვანეთ. ერთი კვირის შემდეგ ჩამოხვედით ორივე. ერთად გვიყვებოდით იქ მომხდარ ამბებს. ყველას გვიხაროდა თქვენი ერთად ყოფნა.

პუშკინ, შენ 20 სექტემბერს გნახე უკანასკნელად. გვარდიის ფორმა გეცვა, თავზე კოხტად გეფარა ბერეტი, ძალიან გიხდებოდა ორივე. უკან ავტომატი გქონდა გადაკიდული. ალბათ სიკვდილმაც ლამაზ ფორმაში მოგისწრო, მაგრამ მიკვირს როგორ მოგერია.

შენი შტაბის უფროსისგან გავიგეთ, რომ კარ[illegible] მებრძ[illegible] ყოფილხარ. აკი ამას შეალიე შენი ცხოვრება, ბოლოს, როცა თვითმფრინავში ასულხარ, სწორედ მისთვის დაგიძახებია „ნატუშკი ნახე სად ვდგევარო". გვეგონა წინ იჯექი და გადარჩებოდი, მაგრამ საბრალო დედაშენი ტიროდა, ვილაცის შვილი ხომ იჯდა უკანო. თურმე შენც უკან იჯექი. მამაშენმა შენი დამწვარი საბუთები, ქამარი და სვიტრის მკლავები ჩამოიტანა. ამას ზურას სუნი ასდისო. ხელზე გქონია მიმაგრებული „Труп 12. Зураб Мерабович Кукчишвили". ისიც ჩვენთან არის. მხოლოდ ეს დაგვრჩა სანუგეშოდ.

სადა ხართ ახლა. რატომ არ გვესმის თქვენი ხმა, სიცილი, გართობა. ძალიან გვიჭირს უთქვენობა.

მეხის გავარდნას გავდა ჩემთვის ის შემზარავი სიტყვები, რომ თქვენ აღარ არსებობდით ამქვეყნად. რატომ? რისთვის? თქვენ ხომ მზესავით ნათელი ცხოვრება უნდა გქონოდათ. თქვენ ხომ ახლად აფეთქებული კვირტები იყავით გაზაფხულისა. მაგრამ... „სიკვდილსაც გამორჩეული უყვარსო"...

ჩემო მეგობრებო, ბევრი კარგად და კეთილად მოსაგონარი დამიტოვეთ — და რა ვქნა, თუკი მაინც არ მჯერა, რომ თქვენ აღარა ხართ ამქვეყნად. ყველას უჭირს უთქვენობა. და-ძმებივით გვიყვარდა ერთმანეთი. ყოველთვის მხარში ვედექით ერთმანეთს, შეიძლება ბოლო წუთებში შველას ითხოვდით, მაგრამ ვაი, რომ ველარ გიშველეთ.

ლამაზი, გაუტეხელი და ამაყი ვაჟკაცები იყავით, მაგრამ სიკვდილი თქვენზე ძლიერი ყოფილა თურმე. თქვენ ხომ ამქვეყნად მოვლენილი უცბად ჩამქრალი ვარსკვლავები ხართ. [illegible]ტომ? [illegible]ტომ ჩამქრალი და არა ანთებული, ა[illegible] ზგიზგიზებული. თქვენ ხომ გინდოდათ სი[illegible]ცოცხლე, სიხარული და ბედნიერება[illegible] ვინ იმღერებს თქვენ საყვარელ სიმღერებს: „დარი-დურის" და „მეფაიტონეს". ვაჟკაცურად, ომახიანად ვინ გაუძღვება მაგიდას, ვინ ითამადებს. ვინ დაგვიდგება და ვინ იტყვის ამაყად, ჩვენ თქვენი ძმები ვართო. პაატა, ბანკეტის დღესაც მითხარი, ნურაფრის ნუ შეგეშინდება ამ ცხოვრებაში, იცოდე მე შენთან ვარო. ახლა სადა ხარ, სად გეძებო, სოხუმის მიწაზე თუ ჩვენთან. მე უძლური ვარ, რომ იმქვეყნიური ცხოვრებიდან მოგაბრუნოთ. საფლავიც არ ვიცი, რომ მოვიდე. მხოლოდ ტკბილი მოგონებები, თქვენი სურათები დაგვრჩა ნუგეშად.

მაგრამ გახსოვდეთ! ყველა თქვენი ახლობლისა და მეგობრის გულში მარად იცოცხლებთ. ყველას ისეთები გვემახსოვრებით, როგორებიც იყავით: კეთილნი, სათნო, გაუტეხელი ვაჟკაცური სულის მქონენი.

მიწა აყვავდა თქვენით. გულში ჩაგიკრათ და სამუდამოდ დაგიდოთ ბინა ვაჟკაცობაში და სიყვარულში გამორჩეულებს.

ყველა ლოცულობს თქვენზე, ყველა ამაყობს თქვენით. ღმერთი კი ზეციურ სასუფეველს დაგიმკვიდრებთ.

ძნელია ახლა თქვენზე წერა ბიჭებო — პატარა „ღიმილის ბიჭებო".

ეჰ, რა დაუნდობელი ხარ, წუთისოფელო!

თქვენი მეგობარი
ქეთინო ხურცილავა

მთავარი რედაქტორი
ნოდარ გრიგალაშვილი

სარედაქციო საბჭო
თენგიზ გოგოტიშვილი
ჯემალ კასრაძე
ვახტანგ კომახიძე
მერაბ მაისურაძე
სერგო ჯანაშია

რედაქციის მისამართი:
თბილისი, თავისუფლების მოედანი, პუშკინის ქ. 5
ტელ:
რედაქტორი: 93-20-36,
მოადგილე: 93-18-41.
პასუხისმგებელი მდივანი:
93-19-99

გაზეთი იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში, ხოშარაულის 29.

შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

გაზეთის
ინდექსი 66447
ფასი
150 კუპონი

გაზეთი დაკაბადონდა კომპიუტერული წესით ფირმა „აგა"-ში
ტელ:
93—83—07, 29—49—60